

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებებით

რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

მ ა ც ნ ე

თბილისი
2010

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია არნოდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ
ენათა განყოფილებაში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
კავკასიოლოგიის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ცირა ბარამიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები: 1. **როსტომ ფარეულიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

2. **ნოდარ არდოტელი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 2010 წლის 25 ოქტომბერს,
16 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №13, ივანე ჯავახიშ-
ვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII
კორპუსი (IV სართული, სააქტო დარბაზი).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი:
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ა. ყულიჯანიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. კავკასიის ალბანური ენა და დამწერლობა სხვადასხვა დროს მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანი იყო. მიუხედავად ამისა, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ საკვლევი: არ არის ამოკითხული ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლები, არ მოგვეპოვება კავკასიის ალბანური ენის გრამატიკულ მოვლენათა აღწერის ცდა¹ და ფაქტობრივი მასალის უდიდესი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია².

თუ გავითვალისწინებთ, რომ ალბანური მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ერთადერთია, რომელსაც მოეპოვება უძველესი ორიგინალური ანბანი და თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ისტორია, კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების ამოკითხვა და გაანალიზება კავკასიოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება და მის შესწავლას შეუძლია, ნათელი მოჰფინოს იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული ვითარების ამსახველ არაერთ მოვლენას.

კვლევის მიზანი და ობიექტი. ნაშრომი მიზნად ისახავს წერილობითი ძეგლების ამოკითხვის საფუძველზე კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების აღწერას და მისი ადგილის განსაზღვრას თვისტომ ენათა შორის. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმოხილულია უძველესი საისტორიო წყაროების ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ, განიხილება ალბანური დამწერლობის გენეზისის საკითხი, მოცემულია მისი პარადიგმატიკისა და გრაფიკული საფუძვლების ანალიზი, განსაზღვრულია ალბანური ფაქტობრივი მასალის რაობა და სხვა.

ნაშრომში წამოდგენილია ჩვენ მიერ ამოკითხული კავკასიის ალბანური ტექსტობრივი მასალის ანალიზი, ესაა ზ. ალექსიდის მონოგრაფიაში “კავკასიის ალბანური დამწერლობა, ენა და მწერლობა” გამოქვეყნებული ალბანურ-ქართული პალიმფსესტის ფრაგმენტები [ალექსიძე 2003, 132-150]. გამოყენებულია აგრეთვე – სინური პალიმფსესტის ფოტოპირები³ და კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკა (ე.წ. მინგეჩაურის წარწერები).

შედარებისათვის მოხმობილია მონათესავე ენათა (ძირითადად, უდიურის) მონაცემები. კრიტიკულადაა გაანალიზებული ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა. ვეყრდნობით სავსე მასალასაც, კერძოდ, უდიური ენის ვართაშნული დიალექტის მონაცემებს, რომელიც მოვიპოვეთ ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბერში (ზინობიანი).

¹ თუ არ ჩავთვლით გრამატიკის მოკლე მიმოხილვას, რომელიც წამოდგენილია ზ. ალექსიდის მონოგრაფიაში “კავკასიის ალბანური დამწერლობა, ენა და მწერლობა” [ალექსიძე 2003, 151-158]. აქედან, დიდი ნაწილი ეთმობა ლექსიკას (გვ. 153-158), ხოლო ფონეტიკისა და მორფოლოგიის აღწერა მოცემულია ოდენ სამ გვერდზე (გვ. 151-153).

² სადისერტაციო ნაშრომი დამთავრებული ვეჭონდა (2009 წლის მარტი), როდესაც გა მოქვეყნდა ი. გიპერტის, ზ. ალექსიდის, ე.პ. მაქსა და ვ. შულცის მონოგრაფია “ალბანური პალიმფსესტები”, რომელიც სინური პალიმფსესტის სრულ ტექსტს და მის კვლევას შეიცავს. სამწუხაროდ, საშუალება არ მოგვეცა ამ კვლევის შედეგები გამოგვეყენებინა.

³ ფოტოპირები განთავსებულია ინტერნეტ-გვერდებზე: titus.fkidl1.uni-frankfurt.de/armazi/sinai/albanica/m13.htm#start და titus.fkidl1.uni-frankfurt.de/armazi/sinai/albanica/m55.htm#start

კვლევის მეთოდი. კვლევა-ძიება განხორციელდა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით. კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის კვლევისას გამოყენებულია შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდიც. ნაშრომში წარმოდგენილია ცდა ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული მასალის ამოკითხვისა, რა მიზნითაც გამოყენებულია დისტრიბუციული მეთოდი და წარწერათა გაშიფვრის სხვა არსებული მეთოდოლოგია.

კვლევის ძირითადი შედეგი და მეცნიერული სიახლე. ალბანურ-ქართული პალიმფსესტის აღმოჩენამდე კავკასიის ალბანური მასალის მოცულობა (მინგეჩაურის წარწერები) დაახლ. 50 სიტყვას შეიცავდა (200 ნიშნამდე) და არ იძლეოდა რაიმე ღირებული შედეგის მიღწევას საშუალებას. სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ მოგვეპოვება პირველი გაბმული ტექსტი ალბანურ ენაზე. იმ პერიოდთან მოყოლებული დღემდე გრძელდება მუშაობა მის ამოკითხვაზე. 2003 წელს გამოქვეყნდა ზ. ალექსიდის მონოგრაფია “კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა”, რომელიც ალბანური “ლექციონარის” შესახებ წინასწარ შენიშვნებს შეიცავს. ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ალბანური ხელნაწერების ამოკითხვის საქმეში ჩაერთვნენ ე.პ. მაქსა, ი. გიპერტი და ვ. შულცე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მათი კვლევის შესახებ რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოგვეპოვება. დღეისათვის ხელთ გვაქვს “ლექციონარის” ათამდე საკითხავის სათაურთა თარგმანი (ზ. ალექსიძე) და ერთი ამოკითხული გაბმული ტექსტიც (2 კორ. 11, 24-27 – ვ. შულცე).

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული მოვლენების მეტნაკლებად ვრცელი აღწერის ცდა (აღწერა ემყარება დაახლ. 1000 სიტყვის მოცულობის მასალას) და ამასთან ერთად ნაშრომში წამოყენებულია ახალი თვალსაზრისი სხვა ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომელიც უკვე გაშუქებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ესაა: ალბანური დამწერლობისა და მისი გენეზისის, ფონოლოგიური სისტემის შესახებ სხვადასხვა საკითხი და ცალკეულ ალბანურ ხელნაწერთა და ეპიგრაფიკულ ძეგლთა ამოკითხვის ცდები.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომი შესრულდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში. ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენებათა სახით იყო წაკითხული არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე. გამოქვეყნებულია სტატიებისა და თეზისების სახით.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს 181 ნაბეჭდვად გვერდს. იგი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან. II, V, VI და VII თავები, განხილული საკითხების შესაბამისად, დაყოფილია პარაგრაფებად. თითოეულ თავს ახლავს დასკვნები. ნაშრომს ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალი კავკასიის ალბანური ენისა და დამწერლობის შესახებ წინასწარ ცნობებს ეთმობა. მოკლედ არის მიმოხილული საკითხის შესწავლის ისტორიის ეტაპები.

თავი I. უძველესი ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ

ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ დაცულია სომხურ საისტორიო მწერლობაში. წყაროთა ნაწილში (კორიუნის “მაშტოცის ცხოვრება”, მოვსეს ხორენაცის “სომხეთის ისტორია”, მოვსეს კალანკატუაცის “ალუანთა ქვეყნის ისტორია” და სხვა) აღწერილია ალბანური ანბანის შექმნა და მის ავტორად დასახელებულია მაშტოცი (იგივე მესროპი). ამ ცნობებს თუ დავეყრდნობით, ალბანური ანბანი, სომხურსა და ქართულ ალფაბეტებთან ერთად, შექმნილია V ს. I მეოთხედში.

ზოგიერთ წყაროში (მატენადარანის №1973 ხელნაწერი და სხვა) მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ალბანელებს თავიანთი ანბანი გადაუღიათ სომხებისაგან, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ალბანური დამწერლობის შექმნელის ვინაობა.

სხვა წყაროები კი (დეკონდი, დენის 506 წლის საეკლესიო კრების მასალები და ა.შ.) გვაწვდის მხოლოდ ალბანური დამწერლობის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ დასახელებული სომხური წყაროები მაშტოცს მიაწერს კავკასიის სამივე უძველესი ანბანის ავტორობას, ალბანურის გენეზისის საკითხი უნდა განვიხილოთ სომხურ და ქართულ დამწერლობათა წარმოშობის საკითხთან ერთად.

ივ. ჯავახიშვილმა წარმოგვიდგინა სომხური საისტორიო წყაროების ტექსტოლოგიური კრიტიკა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ ცნობა კორიუნის “მაშტოცის ცხოვრების” თავდაპირველ რედაქციაში არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ V ს. სომეხი ავტორი ლაზარ ფარპეცი მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას უხვად სარგებლობს კორიუნის ცნობებით, მაგრამ არ იცნობს ერკათაგირის ავტორის მიერ ქართულ და ალბანურ ანბანთა შექმნის “ფაქტს”.

VII ს. სომეხი ავტორი დავით გრამატიკოსი, რომელიც ვრცლად აღწერს სომხური ანბანის შექმნა-გამოგონებას, საერთოდ არ ახსენებს მაშტოცის ღვაწლს ქართულისა და ალბანურის შექმნის საქმეში.

ელიშე, სიბეოსი, ანანია შირაკაცი და სხვა V-VII სს. სომეხი ისტორიკოსები მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას ასევე არ გავწვიან ცნობებს მის მიერ ქართულ და ალბანურ ანბანთა შექმნის შესახებ.

მოვსეს ხორენაცი თავის თხზულებაში “სომხეთის ისტორია” იყენებს მაშტოცის სახელის მეორე ფორმას – მესროპს, რაც შედარებით გვიანდელი სომხური წყაროებისთვისაა დამახასიათებელი (VII ს.-დან).

“ალუანთა ქვეყნის ისტორიის” ავტორის ვინაობის საკითხი არ არის გარკვეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება თხზულების შექმნის დროისა და მისი შემდგენის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ თხზულების ავტორი ან VII ს.-ში

მცხოვრები თანაავტორი წარმოშობით ალბანელია, უტის გავარის (პროვინციის) სოფ. კალანკატუიკიდან არის წარმოშობით (როგორც თავად მოხრობელი მოგვახსენებს) და მეტიც, იგი თავისი ქვეყნის პატრიოტია, რის შესახებაც მრავალი სანაქებო ეპითეტი მეტყველებს, რომლითაც იგი უხვად ამკობს თავის ქვეყანას, ხალხს, მეფეებსა თუ გამოჩენილ მოღვაწეებს. ამ ფონზე გაუგებრად გვეჩვენება ავტორის მიერ თავისი მშობლიური ენის დახასიათება, სადაც მესროპის მიერ გარგართათვის დამწერლობის შექმნის შესახებ არის საუბარი (საფიქრებელია, რომ გარგარული არის კავკასიის ალბანური ენის საყრდენი დიალექტი): – “ყელში მოუბარი, ხშული, მკაცრი და უხეში”.

“ეპისტოლეტა წიგნში” გვხვდება ფრაზა, რომელიც სომხური და ქართული დამწერლობების თითქოსდა საერთო წარმოშობაზე მიგვითითებს. ზ. ალექსიძემ შეამჩნია, რომ ამ წინადადებაში: “საერთო ღვთისმსახურება დაგვიწესეს ჯერ ნეტარმა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად” (ეპისტოლეტა, 041-046; ხაზგასმა ჩვენია) უკანასკნელი მონაკვეთი მექანიკურად ჩართულია და ვერ ამყარებს სინტაქსურ კავშირს წინადადების პირველ ნაწილთან. ამ ეპისტოლეს საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი მწიგნობრობაზე. ამასთანავე, აღნიშნული ეპისტოლეტა მოყვანილი აქვს უხტანესს (X ს.-ის ავტორია) თავის თხზულებაში “ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან”, მაგრამ ეს გაუმართავი წინადადება მასთან არ გვხვდება და, შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ “ეპისტოლეტა წიგნის” ძველ რედაქციებში (X ს.-მდე) ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს.

ნიშნდობლივია, რომ XIII ს.-ის სომეხი ავტორი მხითარ აირივანეცი თავის თხზულებაში “ქრონოგრაფიული ისტორია” მეფე ფარნავახს ქართული დამწერლობის შემომღებად მიიხსენებს. ბუნებრივია, მხითარ აირივანეცი იცნობს სომხურ ვერსიას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, მაგრამ, ამის მიუხედავად, უპირატესობას ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციულ ცნობებს ანიჭებს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ძველი ქართული დამწერლობა, სომხურისაგან განსხვავებით, სხვა სტრუქტურულ პრინციპებს ემყარება. ასომთავრულის პარადიგმატიკა ერკათაგირთან შეპირისპირებით, დამეტრულად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ქართული ანბანის გრაფიკა კი დიდ მსგავსებას ავლენს ჩრდილო-სემურ ანბანურ სამყაროსთან (ივ. ჯავახიშვილი, რ. პატარიძე...), რაც სრულიად გამორიცხულია ერკათაგირის შემთხვევაში. ეს თავისთავად შეუძლებელს ხდის სომხური ალფაბეტის ავტორის მონაწილეობას ქართული ასომთავრულის შექმნა-გამოგონებაში.

წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხურ ისტორიოგრაფიაში მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ დაცული ცნობები სარწმუნო არ არის. შესაბამისად, ასევე კრიტიკულად უნდა მივუდგეთ იმავე წყაროებს, რომლებშიც საუბარია კავკასიის ალბანური ანბანის შექმნა-გამოგონების შესახებ. ერთადერთი ფასეული, რაც სომხური წყაროებიდან ირკვევა, არის ის, რომ ალბანური დამწერლობა ნამდვილად არსებობდა (ამან გადაწყვეტი რილი ითამაშა დაკარგული კავკასიის ალბანური დამწერლობის ნიმუშების ძიების დასაწყებად), ხოლო ცნობა მაშტოცის

მიერ ალბანური ანბანის შექმნის შესახებ ნაყალბეგია. ამ ლეგენდის გაჩენის დროისა და გარემოებების დადგენა წინამდებარე ნაშრომის ამოცანებს სცილდება.

უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი ცნობილი სომეხი არმენოლოგი უარყოფდა იმას, რომ მაშტოცი გახლდათ ამიერკავკასიის დამწერლობათა შემქმნელი და მის მხოლოდ ძველი სომხური (დანიელის) ანბანის რეფორმატორად მიიჩნეოდნენ (მაგ.: ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნ. აღონცი, გ. აკინიანი და სხვა).

ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ მოსაზრებას. ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლების კვლევამ გვიჩვენა, რომ სომხური ანბანი ორი დიამეტრულად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი – ე.წ. ნალისებური გრაფემები, ჩვენი აზრით, ერკათაგირში სწორედ “დანელიის” ანბანის ნაშთს წარმოადგენენ. ამ გრაფემათა საერთო რაოდენობა 22 უნდა ყოფილიყო (მათ შორის ერკათაგირის გრაფიკული მონახაზის მიხედვით აღდგენილი 3 გრაფემა [რ. პატარიძე], შდრ. ვარდან არაველცის [ვარდან დიდი] ცნობას დანიელის 22-ნიშნაანი ანბანის შესახებ). საფიქრებელია, რომ დანიელის ანბანი კლასიკურ სემურ პარადიგმატიკას ემყარებოდა. ამის შესახებ, გარდა ნიშნათა საერთო რაოდენობისა, მეტყველებს ისიც, რომ 19 “ნალისებური” ასო-ბგერიდან, 15-ის ფონემური მნიშვნელობაც და ადგილიც ანბანში შესაბამისი “სემური” ნიშნებისას ემთხვევა. სარწმუნოა რ. პატარიძის მოსაზრება ერკათაგირის მეორე გრაფიკული ჯგუფის – “რკალისებური გრაფემების” ქართული ანბანის გაგენით შექმნის შესახებ [ქართ.

ც > სომხ. ც > շ > [ჰ] > ა > ბ > > x > < > r. რ. პატარიძე; ქართ. ა > სომხ. Յ > ზ: დამატებულია ჩვენ მიერ]. ერკათაგირის მესამე გრაფიკული ჯგუფი – “კუთხოვანი გრაფემები”, ჩვენი აზრით, ხელოვნური ხასიათისაა [სომხ. ե > სომხ. է > L > F > H > J]. საფიქრებელია, რომ მხოლოდ ეს ორი უკანასკნელი გრაფიკული ჯგუფი შეიქმნა მაშტოცის მიერ.

გარკვეული გრაფიკული პარალელები “დანიელის” რეკონსტრუირებულ ანბანსა და კავკასიის ალბანურს შორის გვაფიქრებინებს ალბანური ანბანის ფორმირების დაწყებას მაშტოცის მოღვაწეობამდე, თუმცა, კავკასიის ალბანური ანბანის ჩამოყალიბების პროცესი სომხური ანბანის საბოლოო შედგენის (მაშტოცის მიერ განხორციელებული რეფორმის) შემდგომ ჩანს დასრულებული. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას პარადიგმატიკის ტიპოლოგიური მსგავსება სომხურსა და კავკასიის ალბანურს შორის (იხ. IV თავი).

თავი II. კავკასიის ალბანური ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში

§ 1. კავკასიის ალბანური ანბანი სომხურ ხელნაწერებში

კავკასიის ალბანური ანბანის აღმოჩენა თარიღდება 1937 წლის 28 სექტემბრით. ამ დღეს ილ. აბულაძემ ენშიაძინის ხელნაწერებს შორის აღმოაჩინა XV ს.-ის სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, სადაც წარმოდგენილი იყო რამდენიმე ანბანი (ბერძნული, ლათინური, ქართული, სირიული, კოპტური და არაბული) და მათ შორის იყო ალბანურიც (ამჟამად ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში მატენადარანის ბიბლიოთეკაში).

ილ. აბულაძემ მხოლოდ ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ გამოაქვეყნა

ცნობა და შესასწავლად თავის მასწავლებელს აკ. შანიძეს გადასცა.

აკ. შანიძემ გამოიკვლია ხელნაწერში მოცემული ანბანური ნაწილი და დაასკვნა, რომ წყაროში მოცემული ყველა ალფაბეტი იყო ნამდვილი და წარმოდგენილი ძველი ფორმით. მკვლევარმა ამის საფუძველზე მიიჩნია, რომ ხელნაწერის ალბანური ანბანის ნუსხაც ავთენტური უნდა ყოფილიყო. მოძიებული ანბანის კრიტიკულად განხილვის შემდეგ აკ. შანიძემ ივარაუდა, რომ კავკასიის ალბანური ალფაბეტი ძირითადად სწორადაა გადმოცემული და მასში მოცემულ ბგერათსიტემას უდიდესი ენის ფონოლოგიური სისტემა უნდა შეესაბამებოდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ აკ. შანიძის დებულებები ვერ შეარყია.

კავკასიის ალბანური ანბანის მეორე ნუსხა წარმოდგენილია 1956 წ. არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ აშშ-ში აღმოჩენილ XVI ს.-ის (დაახლ. 1580 წ.) სომხურ ხელნაწერში. ამ ხელნაწერის ნუსხა, მატენადარანის ხელნაწერის ანბანთან შედარებით, გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფემათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაშიც. ა. ქურდიანის ალბანური ანბანის ნუსხა მატენადარანის №717 ხელნაწერში წარმოდგენილი ანბანისაგან უნდა იყოს გაღაწერილი, ხოლო ამ ნუსხაზე დედანი, სავარაუდოდ, IX-X სს. შესრულდა.

ორივე ალბანური ანბანის ნუსხა ნამდვილია და ძირითადად სწორი უნდა იყოს, რაც დადასტურდა კიდევ მინგეაურის წარწერებისა და სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ.

§ 2. კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსი

1948–1952 წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ქ. მინგეაურთან, გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ერთი ლაპიდარული წარწერა და რამდენიმე გრაფიტი. მათ ერთობლიობას დღეს კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ და იგი ამჟამად 7 ერთეულისაგან შედგება, ესენია: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა – 70 გრაფემა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე №1 – 50 გრაფემა; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე №2 – 16-17 გრაფემა; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე №3 – 8 გრაფემა; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე №4 – 24 გრაფემა, 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №1 – 21 გრაფემა; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №2 – 5-6 გრაფემა. მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისგან და მასში კავკასიის ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან დადასტურებულია 34.

კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსში ზოგიერთ მეცნიერს შეჰქონდა ე.წ. დერბენტის წარწერა (ს. მურავიოვი) და ზემო ლაბკოს [ზემო ლაბკომასი] ქვის ფილა (გ. გუკასიანი, გ. კლიმოვი), რასაც შეუძლებელია დავეთანხმობო.

საეჭვოა როგორც დერბენტის წარწერის აღმოჩენის ფაქტი, ასევე მისი ალბანური წარმომავლობა, ხოლო ზემო ლაბკოსთან (დაღესტანი) აღმოჩენილი ქვის ფილა უეჭველად ნაყალბეგია. საღისურტაციო ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტაცია.

§ 3. სინური ალბანურ-ქართული პალიმფსესტის

კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებული პირველი გაბმული ტექსტი აღმოჩენილი იქნა სინას ნახევარკუნძულზე (ეგვიპტე), წმ. ეკატერინეს მონასტერში. 1975 წ. იქ დაახლ. 1100 ხელნაწერი აღმოაჩინეს. ახალ კოლექციაში 141 ქართული ხელნაწერი გამოვლინდა და მათ შესასწავლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა განახორციელა რამდენიმე ექსპედიცია ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით სინას მთაზე.

მეორე ექსპედიციის დროს, 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზ. ალექსიძემ ყურადღება მიაქცია ორი ხელნაწერის – N/Sin 13 და N/Sin 55-ის ქვედა ტექსტს, რომელიც ერთდროულად ჰგავდა ქართულსაც და სომხურსაც, მაგრამ არ იყო ამათგან არც ერთი. საქართველოში დაბრუნებისთანავე, მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გაკეთებულ ანგარიშში, ზ. ალექსიძემ განაცხადა, რომ მის მიერ მოპოებული უცნობი დამწერლობით შესრულებული ხელნაწერი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კავკასიის ალბანური.

ალბანურ-ქართული პალიმფსესტების ფურცელთა საერთო რაოდენობა 170-ს აღწევს. მათგან, დაახლოებით 100 ფურცელი, წაკითხვას ექვემდებარება (ზ. ალექსიძე).

ფურცლების ზომებია – 29,5 x 22,5 სმ. თითოეულ ფურცელზე ტექსტი შესრულებულია ორ სვეტად. როგორც წესი, სვეტში 22 სტრიქონია (ზოგჯერ 24). სვეტებს შორის და არშიებზე საკმაოდ დიდი მანძილია დატოვებული, თავისუფალი ადგილები კი ტექსტთან დაკავშირებული მინაწერების გასაკეთებლად გამოყენებული. წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წ. მომხდარი ხანძრის გამო ხელნაწერის თითქმის ყველა ფურცელი დეფექტურია (ახალი კოლექცია ამ ხანძრის შედეგადაა აღმოჩენილი).

არ შეიძლება, რომ ეჭვი შევიტანოთ სინური პალიმფსესტის ავთენტურობაში. როგორც ჩანს, X ს.-ში ალბანური ტექსტი გადაირეცხა (წყაროთა ცნობების მიხედვით, იმ პერიოდში სინას მთაზე იგრძნობოდა პერგამენტის მწვავე ნაკლებობა) და შემდგომ ზემოდან შესრულდა ქართული ტექსტი (ნუსხა-ხუცურით).

ხელნაწერის კვლევისას შესამჩნევია შემდეგი გარემოებები: შეინიშნება ორი ან სამი გადაწერის ხელი. სახედაო ასოები გამოყენებულია მუხლების გამოსაყოფად. ტექსტი თითქმის უწყვეტია, ხოლო იშვიათად მოკლე მონაკვეთები ერთმანეთისაგან გამოიჯნულია ორი, თითქმის წერტილის ფორმის მქონე, მოკლე პარალელური ხაზით. ხშირად გამოყენებულია ქარაგმის ნიშანი. ალბანურ ხელნაწერში ხშირია ხმოვნის აღნიშნული გრაფემის ნაკლებობა, განსაკუთრებით აფიქსებში და ზოგჯერ ეს დაქარაგმებულიც არ არის, მაგ. **კ-კ-კ-კ-კ-კ** ეკლესი[ა]-ს[ო](ც) “ეკლესიისგან” (ეკლესია-აბლ), **კ-კ-კ-კ-კ-კ** ჰევესუნ-[ო]ი “აღსარებისა” (აღსარება-ნათ).

ხელნაწერი შეიცავს კავკასიის ალბანურ ენაზე შედგენილ “ლექციონარს” (ზ. ალექსიძე) და იოანეს სახარებას (გ. შულცი).

იდენტიფიცირებული საკითხავების მიხედვით ალბანური ლექციონარი ყველაზე მეტ სიახლოვეს ქართულ ხანმეტ ლექციონართან ავლენს. ალბანური ლექციონარის საკითხავთა სათაურები შესრულებულია ბევრად მცირე ზომის გრაფემებით (რაც მას აახლოვებს უძველეს ქართულ და სომხურ ლექციონარებთან). სათაურის დასაწყისი და შემდეგ თითქმის ყველა სიტყვა დაწერილია სახედაო ასოებით (ეს სომხური ლექციონარებისათვის დამახასიათებელია). ხშირ შემთხვევაში, სათაურშივე, მოცემულია მოკლე მითითება ტექსტის წაკითხვის შემდეგ აღიღუას შესრულების საჭიროების შესახებ, ხოლო ზოგჯერ – ფსალმუნისა.

ალბანური ტექსტი, შესაძლოა, შესრულებულიყო კავკასიის ალბანეთში. ალბანური ეკლესიის მონოფიზიტურ მრწამსზე გადასვლის შემდეგ კი (VIII ს.-ის დასაწყისი) აღმოჩენილიყო საქართველოში, ხოლო აქედან სინას მონასტერში, ანდა გადაწერილიყო პალესტინის ერთ-ერთ ალბანურ მონასტერში და იქიდან მოხვედრილიყო ქართულ სამონაზვნო წრეში.

თავი III. კავკასიის ალბანური ანბანის ფონეტიკურ მნიშვნელობათა სისტემა

დადგენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ალბანური ანბანის 26 გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა, ესენია: №1 **ა** (ა); №2 **ბ** (ბ); №3 **ც** (გ); №5 **კ** (ე); №6 **ხ** (ხ); №9 **თ** (თ); №11 **რ** (დ); №13 **ყ** (ი); №15 **ვ** (ლ); №17 **წ** (ხ); №21 **ჟ** (ე); №23 **ა** (ბ); №29 **ჟ** (მ); №30 **ჯ** (ყ); №31 **ყ** (ნ); №35 **ო** (ო); №39 **ნ** (ნ); №40 **ზ** (პ); №41 **წ** (დ); №42 **ა** (რ); №43 **ზ** (ს); №44 **ბ** (ვ); №45 **ა** (ტ); №50 **რ** (ტ); №51 **ყ** (ფ); №52 **ქ** (ქ).

ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოთ: №7 **ლ** – ეს გრაფემა **ქ** დიფთონგს გადმოსცემს და, ჩვენი აზრით, ის ასევე **ე** ბგერის ფარინგალიზებულ ალოფონს (**ქ**) უნდა აღნიშნავდეს.

დამაჯერებელია, რომ №47 **ს ო** ბგერას აღნიშნავს, №14 **ს შ**-ს, ხოლო №33 **ა** – **შ** ბგერას.

უ ბგერა და მისი ფარინგალიზებული ვარიანტი (**უ**) დიგრამებით გადმოიცემოდა **ო-ი** (№35+№50); **ს-ი** (№47+№50).

ალბანური ტექსტობრივი მასალის ამოკითხვის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უეჭველია, რომ მატენადარანის ნუსხაში მოცემული ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონეტიკური მნიშვნელობები უნდა შესწორდეს რვა შემთხვევაში (სომხური გრაფიკის შესაძლებლობათა გათვალისწინებით): №2 **ბ** (ო > ბ); №3 **ც** (ზ > გ); №5 **კ** (ფ > ე); №7 **ლ** (ე > მ); №35 **ო** (უ > ო); №41 **წ** (ფ > დ); №42 **ა** (კ > რ); №50 **რ** (დ > ვ). ჩვენი აზრით, კიდევ სამ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს შესწორება: №4 **გან** (გ > *დ), №19 **ჯ** (ჭ > *წ) და №47 **ს** (ი > *ო).

დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და ამ ეტაპზე დადგენილად ვერ ჩაითვლება ზ. ალექსიძის მიერ შემოთავაზებული შემდეგ ასონიშანთა ფონეტიკური კვალიფიკაცია (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მოსაზრებას ვიზიარებთ): №8 **ქ**, №14 **ს**, №17 **წ**, №18 **ხ**, №25 **წ**, №27 **ჟ**, №32 **ა**, №33 **ბ**, №49 **რ** (ზ. ალექსიძის მიხედვით – **ქ**, **შ**, **ჭ/ხ**, **დ**, **წ**, **ჭ/ყ**, **შ**, **ც** ბგერებია შესაბამისად).

ამ ეტაპზე ხერხდება პალიმფსესტის 46 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენადარანის ხელნაწერის ანბანის ნიშნებთან. ამ ხელნაწერის ეჭვი გრაფემა არ არის დადასტურებული ალბანურ ხელნაწერებში, ესენია: №4 (ან №34), №16, №22, №25, №28, №32. მათგან ერთი ნიშანი (№32) დადასტურებულია კავკასიის ალბანურ ეპიგრაფიკაში.

ზ. ალექსიძის მიერ გაკეთებული მატენადარანის ხელნაწერისა და სინური პალიმფსესტის ნიშნების გრაფიკული იდენტიფიკაციებიდან ვერ გავიზიარებთ ხუთს, ესენია: **ა** (ზ. ალექსიძის აზრით, ანბანის №16; ჩვენი ვარაუდით კი №24); **ს** (ზ. ალექსიძე – №25; ჩვენ – №47); **რ** (ზ. ალექსიძე – №32; ჩვენ – №48); **წ** (ზ. ალექსიძე – №37; ჩვენ – №41); **ქ** (ზ. ალექსიძე – №41; ჩვენ – №37). ასევე არ არის გასაზიარებელი ზ. ალექსიძის მოსაზრება **ი** ფორმის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს ასო-ნიშანი №17-ს (**ი**) გრაფიკული ვარიანტია და არა ცალკე გრაფემა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო არგუმენტაცია.

კავკასიის ალბანური ანბანის ფონემურ მნიშვნელობათა სისტემა

ქმობიანის №7117 ბეგლნაწერი	სახელწოდება	პალიმფსესტი	ფონემური მნიშვნელობა	ა. აბრამიანი	ბ. კლიძივი	ს. მურავიოვი	გ. ბუკაძიანი	ზ. ალაქსიძე
ა	აღო	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ბ	ოდეთ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
გ	ზიმ	გ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
დ	გატ	დ?	*რ	რ	რ	ბ	რ	?
ე	მბ	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე
ვ	ზარღ	ვ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
ზ	ენ	ზ	ეჲ [*ე']	ე	ე	ე	ე	ე
ჩ	ქილ	ჩ	*ქ	ღ	ღ	ქ	ქ	ქ
ც	თას	ც	თ	თ	თ	თ	თ	თ
ძ	ჭა	ძ	*ჭ	ყ	ყ	ჭ	ჭ	?
წ	დუღ	წ	დ	ი	დ	დ/დჲ	დ	დ
ჭ	ქა	ჭ	*ქ	ი	?	ქ	ქ	ქ?
ყ	ირბ	ყ	ი	ი	ი	ი	ი	ი
ჩ	შა	ჩ	ჭ	რ	?	ჭ	შ	შ
ც	ღან	ც	რ	რ	რ	რ	რ	რ
ძ	ინა	?	*ი	ხ	?	ი/ღ	ი	?
წ	ხმნ	წ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ჰ/ხ ¹
ჭ	ღან	ჩ	*ღ	ხ	?	ღ	ღ	ღ
ძ	ჭარ	ძ	*წ	წ	წ	წ	ჩ ²	ჭ?
წ	ზოხ	წ	*ზ	წ	?	ზ	ზ	ზ?
ჭ	კარ	ჭ	კ	კ	კ	კ	ჭ	კ
წ	ლიტ	?	*ლ	ჰ	?	ლ	ლ	?
ძ	ჰმტ	ძ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ
წ	ჰად	ძ	*ც	ძ	?	წ	ჰ	?
ჭ	არ	?	*ა	წ	ძ	ა	ა	ა
ძ	ცოდ	ძ	*ც	ჰ	?	დ/დ	ც	ც?

მ	ჭი	ჟ	*კ	კ	კ	კ	კ	კ
ნ	ჩად	?	*ჩ	ღ	?	ჩ	ჩ	?
ქ	მაკ	ქ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ღ	კარ	ღ	ყ	ღ	?	კ/ყ	ყ	ყ
წ	ნუც	წ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
ჭ	ჯად	*ჭ	ჯ?	შ	?	ჯ/ჯჲ	ჯ	ჩ/ჯ
ძ	შაქ	ძ	*შ	შ	შ	შ	შ	შ
წ	ჯადნ	წ?	ჯ?	შ	?	ჯ/ჯ	ჯ	?
ჩ	უნ	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო
ჭ	ტად	ღ	*ტ	ჩ	?	ტ	ო	?
ძ	ხამ	ძ	*გ	ჩ	ჩ	ხ/ღ	გ	ღ
წ	ძად	წ	*ძ	ჩ	?	ძ	ძ	ძ?
ჭ	ჩატ	ა	ჩ	ჩ	?	ჩ	ჩ	ჩ
ღ	პენ	ბ	პ	პ	პ	პ	ფ	პ
წ	ფეს	ა	ღ	ჯ	ჯ	ჰ	პ	ფ?
ძ	კატ	ძ	რ	რ	რ	ყ/კ	კ	რ
წ	სმკ	ჩ	ს	ს	ს	ს	ს	ს
ჩ	ვჭზ	ჩ	ვ	შ	შ	ვ	ვ	ვ
წ	ტივრ	ბ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ
ღ	სოდ	ზ	*ს	ტ	?	ს	ს	ს?
წ	იონ	ს	ო	რ	ო	ი/ღ	რ	?
ჩ	წავ	ჩ	*წ	ც	?	რ	წ	?
წ	ცადნ	წ	*ც	ც	ც	ც	ც	ც
ჭ	დად	ჩ	შ	შ	შ	შ	შ	შ
წ	ფივრ	ა	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
ჭ	ქივ	ჩ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ

შენიშვნა. * (ვარსკვლავი) პალიმფსესტის ასო-ბგერათა გრაფაში მხოლოდ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებულ გრაფემას აღნიშნავს;

* (ვარსკვლავი) ფონემურ მნიშვნელობათა გრაფაში ჩვენ მიერ ნაკარაუდებ გრაფემის ფონემურ ღირებულებას აღნიშნავს;

† დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ბგერებისათვის ვიყენებთ.

თავი IV. კავკასიის ალბანური ანბანის წარმოშობის საკითხი

კვლევამ გვიჩვენა, რომ სომხურ ხელნაწერებში (მატენადარანის №7117 და ა. ქურდიანის მიერ მოძიებული ხელნაწერი) წარმოდგენილი ალბანური ანბანის გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრივი მეტნაკლებად ზუსტი უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს მატენადარანის №7117 ხელნაწერში მოცემულ სხვა ალფაბეტთა იგივე მონაცემების გადმოცემის მეტნაკლები სიზუსტე და ალბანური ანბანის ორივე ნუსხის შედარება-შეპირისპირებით. ამასვე ნაწილობრივ ადასტურებს გრაფიკათა რიცხვის ფუნქციით გამოყენების შემოწმებული ფაქტები და ალბანური ანბანის ორი არასრული ეპიგრაფიკული ნუსხა, კერძოდ, **წარწერა №2 შანდალზე** სადაც მოცემულია ალბანური ანბანის №1-10 მონაკვეთი და **წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე** (№29-32). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთთა ასო-ნიშნების თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს სომხურ ხელნაწერთა ანბანთრივს.

უდავოა, რომ ალბანური ანბანი (ამიერკავკასიის დანარჩენ დამწერლობებთან ერთად) ბევრი მახასიათებლის გამო უნდა მივაკუთვნოთ ბერძნულ ანბანთა ტიპს. ეს მახასიათებლებია: ბერძნულ ანბანთრივზე დამყარებული ასო-ბგერათა წყობა, წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხმოვნებისათვის ასო-ნიშნების არსებობა, **ჟ** ბგერის აღნიშვნა დიგრამით (**o + u** პრინციპით), რიცხვით მნიშვნელობათა გადმოცემა გრაფიკებით და სხვა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ალბანურს ყველაზე თვალსაჩინო მსგავსება აქვს სომხურთან (პარადიგმატიკის მხრივ) და ქართულთან (გრაფიკის მხრივ).

ა.კ. შანიძემ შენიშნა, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ბერძნულ ანბანთრივს ემყარება, ამასთან მკველევარმა ხაზი გაუსვა სომხურისა და ალბანურის პარადიგმატიკის სიახლოვეს.

ა. აბრამიანს კი მიაჩნდა, რომ ალბანური ანბანის მიერ ბერძნული ანბანთრივის დაცვა გამოწვეულია სომხური ანბანთრივის დაცვით (გამომდინარე იქიდან, რომ თვით სომხური ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობას იცავს).

მტკიცდება, რომ კავკასიის ალბანური ანბანი, სომხურის მსგავსად, ათავსებდა თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის, რის შესახებაც თვალნათლივ მეტყველებს ეპიგრაფიკულ ნუსხათა ზოგიერთი გრაფიკის პოზიცია. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ალბანურში ასო-ბგერათა დალაგების ეს პრინციპი სომხურისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა. ამის დასადაგენად უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად ემთხვევა ერკათაგირის სპეციფიკურ “არაბურულ” ასო-ბგერათა ადგილი ანბანში მათ ალბანურ ფონეტიკურ ეკვივალენტებს.

ბერძნული ანბანის **λ** და **ρ** ასო-ნიშნების ადგილას სომხურში გვაქვს **η** და **η**. საყურადღებოა, რომ კავკასიის ალბანური ანბანის “მარტივი” **რ** (№42 **Ⓐ**) დგას ერკათაგირის “კოშტი” **რ**-ს (**Ⓜ**) ანუ ბერძნული **ρ**-ს (**Ⓟ**) ადგილას. ეს ფაქტი ალბანურის უშუალოდ ბერძნულის საფუძველზე შექმნას გვიჩვენებს, თუმცა, ამ პრინციპიდან გამომდინარე, ალბანური “მარტივი” **ლ** (№15 **Ⓡ**) უნდა იყოს სომხური **η**-ს (resp. ბერძნული **λ**-ს) ადგილას, მაგრამ აქ საპირისპირო ვითარება გვაქვს და **Ⓡ** სომხური ანბანის “არაბურული” **Ⓒ**-ს პოზიციური ეკვივალენტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული **λ** ალბანურში შესატყვისის გარეშე რჩება.

მის ადგილას ალბანური ანბანის **Ⓡ** “**ლიტ**” დგას, თანაც სომხური **η**-საგან დამოუკიდებლად. თუ ამ ბგერის საგარაუდო ფონეტიკური ღირებულება (**ლ**) საბოლოოდ დადასტურდა, მაშინ ეს ალბანური ანბანის უშუალოდ ბერძნული ალფაბეტის პარადიგმატიკის საფუძველზე შექმნის კიდევ ერთი დამამტკიცებელი არგუმენტი იქნება.

უეჭველია, რომ სომხური **Ⓒ**, **Ⓐ**, **Ⓡ** და **Ⓡ** ასო-ბგერების ადგილი ანბანში ალბანური ფონეტიკური ეკვივალენტების (**Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ**) პოზიციას ემთხვევა; ალბანურის **Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ** ბგერის აღმნიშვნელი ორივე გრაფიკის (**Ⓡ** და **Ⓡ**) და **Ⓡ**-ს ადგილები არ ემთხვევა სომხურის **Ⓡ**, **Ⓐ**, **Ⓡ**, **Ⓡ** ასო-ბგერებისას; როგორც ჩანს, ალბანურ ანბანს სომხური **Ⓒ**-ს შესატყვისი ბგერა არ ჰქონდა; ხუთ შემთხვევაში კი (**Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ**, **Ⓡ** და **Ⓡ**), ალბანურში შესახამისი ასო-ბგერების ქვერადობის დაუდგენლობის გამო, ეს საკითხი გადაუჭრელია. ნათქვამს თუ შევაჯამებთ, ხუთ შემთხვევაში ჩვენ სომხურისა და ალბანური ანბანის ასო-ბგერათა პოზიციის თანხვედრა გვაქვს, ოთხ შემთხვევაში არ გვაქვს, ხოლო ხუთი გრაფიკის საკითხი გარკვევას მოითხოვს. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ალბანური ზედმიწევნით იცავს ბერძნულ ანბანთრივს, ხოლო სომხურ ასო-ბგერათა წყობას შეაცრად არ იცავს (თუ იცავს საერთოდ).

გრაფიკული თვალსაზრისით კავკასიის ალბანური უეჭველად ორიგინალური ანბანია, თუმცა მოხაზულობის მხრივ შესაძენვეა ზოგიერთი ალბანური გრაფიკის მსგავსება სომხურ ან ქართულ ასო-ნიშნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულსა და ალბანურს შორის მეტი გრაფიკული პარალელის პოვნაა შესაძლებელი.

ზოგიერთი ასო-ნიშნის მსგავსების გარდა, ალბანური და ქართული ალფაბეტების გრაფიკული სტრუქტურა ერთი და იმავე რელევანტური ნიშნებით უპირისპირდება ერკათაგირს. პირველი არის ასო-ბგერათა ზედა და ქვედა პორიზონტალური ხაზების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ხდება ასო-ნიშნების “ქვეცნობიერი” გასწორება წერისას, ანუ დამწერლობის მონუმენტურობის უზრუნველყოფა. ქართული ასომთავრულის 37 ასო-ნიშნიდან ასეთი იყო 19 (ე.ი. ნახევარზე მეტი): 16-ს ჰქონდა ზედა პორიზონტალური ხაზი, 4-ს კი – ქვედა. მათ შორის ერთს (**Ⓡ**) ორივე ხაზი ჰქონდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამი მათგანი ხმოვანია (**Ⓡ**, **Ⓡ** და **Ⓡ**), ანუ მათ გამოყენების მაღალი სიხშირე ჰქონდათ. ერკათაგირის თავდაპირველ ფორმათაგან ასეთი მხოლოდ 11 ასო-ბგერა იყო 36-დან (ე.ი. მესამედზე ნაკლები): 2-ს ზედა ხაზი ჰქონდა, 9-ს კი – ქვედა; 8 მათგანი თანხმოვანი იყო, ხოლო **Ⓡ**, **Ⓡ** და **Ⓡ** ხმოვნებია, აქედან **Ⓡ** ასო-ბგერა ძველ სომხურში არ გამოიჩინებოდა გამოყენების მაღალი სიხშირით. კავკასიის ალბანური “ასომთავრულის” 52 გრაფიკიდან ზედა და ქვედა პორიზონტალური ხაზები 30 ასო-ნიშანს ჰქონდა (ე.ი. ნახევარზე მეტი) 18-ს მხოლოდ ზედა, 7-ს – ქვედა, ხოლო 5-ს ორივე დამატებით ხაზი ჰქონდა; 7 მათგანი ხმოვანი იყო (**Ⓡ** ბგერის აღმნიშვნელი ორივე დიგრამის ჩათვლით), 4-ს ზედა ხაზი ჰქონდა, 2-ს კი – ქვედა, ხოლო **Ⓡ** გრაფიკას – ორივე. ეს ამტკიცებს იმას, რომ ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურა ტიპოლოგიურად და გენეტიურად ქართულ ასომთავრულს უკავშირდება (მ. ქურდიანი).

მეორე რელევანტური ნიშანი, რომლის საშუალებითაც ქართული და ალბანური ალფაბეტები უპირისპირდება ერკათაგირს, არის ის, რომ ქართულის მსგავსად (რ. პატარიძე, ვ. ბოუდერი, თ. ჩხენკელი, ე. მაჭავა-

რიანი, თ. გამყრელიძე...), კავკასიის ალბანური ასომთავრულის გრაფიკა-მათა მოზრდილი ნაწილი ვერტიკალური ხაზისა და წრეხაზის (რგოლის) კომბინაციას წარმოადგენს.

ქართულ ასომთავრულში “ხაზოვან-რგოლურ” გრაფიკათა რაოდენობა 21 შედგენდა (რ. პატარიძე) და მათ შორის 14-ს დახურული, შეკრული რგოლი ჰქონდა. ალბანურ ანბანში ამ გრაფიკათა რაოდენობა 28 იყო და 12 მათგანს შეკრული წრე ჰქონდა. საყურადღებოა, რომ ერკათავირში მხოლოდ ერთი “ხაზოვან-რგოლური” გრაფიკა გვხვდება¹ – **ϕ** და ისიც, უეჭველად, გადმოღებულია ბერძნული ანბანიდან.

ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ გრაფიკული ხერხი, რომლის მეშვეობითაც შექმნილია ქართულ და კავკასიის ალბანურ ანბანთა ასო-ბგერათა ნახევარზე მეტი, სომხურში საერთოდ არ არის რეალიზებული.

კავკასიის ალბანური “ასომთავრული” და სომხური ერკათავირი პირობითობის პრინციპზე აგებული სისტემებია (რაც მათ ხელოვნურ ხასიათზე მიგვიჩვენებს), მაგრამ ისინი სხვადასხვა პირობითი ნიშნებით სარგებლობენ: ალბანურ ანბანში გრაფიკის ძირითად ფორმებად წრე (// ნახევარწრე) და სწორი ხაზია აღებული (ქართული ასომთავრულის მსგავსად), ხოლო სომხურ ანბანში ცალკეული ჯგუფების შესაქმნელად გამოყენებულია გარკვეული მზა მოხაზულობის მქონე ფორმები (გ. სევაკი).

კვლევამ გვიჩვენა, რომ მაშტოცის (იგივე მესროპის) მონაწილეობა კავკასიის ალბანური ანბანის შექმნაში სრულიად გამორიცხულია. ალბანური რომ იყოს მაშტოცის მიერ შექმნილი, ბუნებრივია, ის ისევე დაფუძვნიებულია სომხურ პარადიგმატიკას, როგორც ეს უკანასკნელი – ბერძნულს, შდრ.: სომხური ანბანი 21 ბერძნულ ასო-ბგერას იყენებს, ანუ კლასიკური ბერძნულის №1-24 ნაწილს, “ეპისემონთა” გამოკლებით. სომხურში ზუსტად დაცულია ამ ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა და ფონემური მნიშვნელობები, თუ არ ჩავთვლით λ/η და ρ/π , მაგრამ აქაც მსგავსი ჟღერადობის ფონემები გვაქვს.

ალბანურისა და სომხურის შედარებისას კი ირკვევა, რომ სულ მცირე ოთხი სომხური ბგერის ალბანურ ფონეტიკურ შესატყვისს ანბანში სხვა ადგილი უკავიათ, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ჟღერადობის ბგერები ალბანურს ჰქონდა, მაგ.: სომხურ **յ**-ს (**ჲ**) შეესატყვისება ალბანური **ჟ** (**ყ**), სომხურ **ջ**-ს (**ჯ**) – ალბანური **ჯ** (**ღ**)...

ჩვენთვის მიუღებელია ის თვალსაზრისი, რომელიც ალბანურს *a priori* სომხურისაგან მიმდინარედ მიიჩნევს. ეს მოსაზრება კავკასიის ალბანური ანბანის არც პარადიგმატიკისა და არც გრაფიკის ანალიზით არ მტკიცდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სრულიად გამოვიციხავეთ სომხური ანბანის რაიმე გავლენას კავკასიის ალბანურზე. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ქართული და სომხური ალფაბეტების შემდეგაა ჩამოყალიბებული და მის შემდგენელს გათვალისწინებული აქვს როგორც ქართული, ასევე სომხური ანბანის თავისებურებები.

¹ სომხურს მივაპოვებთ გრაფიკათა ერთი ჯგუფი, რომელიც თითქოსდა აღნიშნულ ტიპს მიეკუთვნება, ესენია: **ւ**, **ե**, **Կ**, **Բ**, **Լ**, **Ղ**, **Պ**, **Գ**, **Ժ**. სომხური ანბანის გრაფიკული სტრუქტურებიდან გამომდინარე, ეს გრაფიკები სულ სხვა – ე.წ. ნალისებურ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ (რ. პატარიძე). აღნიშნული ასო-ნიშნები წარმოიშვნენ სრული ნალის ერთ-ერთი ვერტიკალის შემოკლებით: **Մ** > **ւ** < **ե** > **Կ**; **Ժ** < **Մ**; **Ո** > **Բ** > **Լ**; **Գ** < **Պ** < **Ղ** < **Պ**.

კავკასიის ალბანურის, ბერძნულისა და სომხურის შედარებითი პარადიგმატიკა

№	ალბანური	ფონემური მნიშვნელობა	№	სომხური	ფონემური მნიშვნელობა	№	ბერძნული	* ფონემური მნიშვნელობა
1	ა	ა	1	Ա ա	ა	1	Α α	ა
2	ბ	ბ	2	Բ բ	ბ	2	Β β	ბ
3	գ	გ	3	Գ գ	გ	3	Γ γ	გ
4	*դ	*დ	4	Դ դ	დ	4	Δ δ	დ
5	ე	ე	5	Ե ե	ე	5	Ε ε	ე
6	ზ	ზ	6	Զ զ	ზ	7	Ζ ζ	ზ
7	ւ	ეჲ [*ე']	7	Է է	[ე]	8	Η η	ე
8	բ	*ქ	8	Ը ը	ღ			
9	յ	თ	9	Թ թ	თ	9	Θ θ	თ
10	և	*ც'						
11	ղ	ე						
12	ր	*ქ'	10	Ր ը	ქ			
13	ս	ო	11	Տ տ	ო	10	Ι ι	ო
14	և	შ'						
15	ղ	ლ	12	Լ լ	ლ			
16	*կ	*ც						
17	չ	ხ	13	Խ խ	ხ			
18	ի	*ღ ^ბ						
19	ջ	*წ	14	Ս ս	წ			
20	ե	*ც'						
21	ա	კ	15	Կ կ	კ	11	Κ κ	კ
22	*ո	*წ'				12	Λ λ	ლ
23	ჟ	ჰ	16	Հ հ	ჰ			
24	ქ	*ც	17	Զ զ	ძ			
25	*ն	*ც'	18	Ղ ղ	[ჯ] ღ			
26	ս	*ც'						

27	ჟ	*კ	19	ჯ	კ			
28	*წ	*წ						
29	ღ	მ	20	ნ	მ	13	ნ	მ
30	რ	ყ	21	შ	ღ			
31	ყ	ნ	22	ჩ	ნ	15	ნ	ნ
32	ქ	ჟ?						
33	ც	*შ	23	ც	შ	16	ც	შ
34	ძ	ჟ?						
35	ო	ო	24	პ	ო	17	ო	ო
36	ლ	*ტ						
37	ქ	*ჭ						
38	ღ	*ძ						
39	ა	ჩ	25	ც	ჩ			
40	ბ	პ	26	ღ	პ	18	პ	პ
41	ვ	ღ	27	ღ	ჯ			
42	ქ	რ	28	ჩ	რ	19	რ	რ
43	ხ	ს	29	ს	ს	20	ს	ს
44	ბ	ვ	30	ქ	ვ			
45	ს	ტ	31	ს	ტ	21	ტ	ტ
46	ზ	*წ	32	რ	რ			
47	ს	ო						
48	რ	*წ						
49	რ	*ც	33	მ	ც			
50	ბ	შ	34	ჩ	შ	22	შ	შ
51	ვ	ფ	35	ფ	ფ	23	ფ	ფ
52	ქ	ქ	36	ქ	ქ	24	ქ	ქ
						25	ფ	ფ
						26	ფ	ფ

შენიშვნა. ვარსკვლავი (*) კავკასიის ალბანური ანბანის გრაფიკაში გრაფაში პალიმოფსესტსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაუდასტურებელ გრაფიკას აღნიშნავს; ვარსკვლავი (*) ფონემური მნიშვნელობის გრაფაში აღნიშნავს სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას; † დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ბგერებისათვის ვიყენებთ; ბერძნული ანბანის ტრანსკრიპცია მოცემულია პირობითად, იმის

მიხედვით, თუ რა ბგერებით გადმოიცემა ბერძნული ასო-ნიშნები ამიერკავკასიის ალფაბეტებში. შედარებისათვის არ არის მოხმობილი ქართული ანბანი, რომელიც №1 ასო-ბგერიდან (“ან”) №24 ასო-ბგერამდე (“ქან”) ბერძნულ ასო-ნიშანთა თანმიმდევრობას იმეორებს.

თავი V. კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია

§ 1. კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის მეთოდის საკითხი

კავკასიის ალბანურის ტექსტობრივი მასალის ამოკითხვისათვის სპეციალისტები ორ განსხვავებულ მეთოდს მიმართავენ: ზოგიერთი სპეციალისტის (გ. კლიმოვი, ზ. ალექსიძე...) აზრით, ალბანური ანბანის სომხურ ხელნაწერთა ნუსხა ვერ გამოდგებოდა წარწერათა გაშიფვისათვის და ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ანბანის შესწორებას ტექსტობრივი მასალის ამოკითხვის საფუძველზე.

მეორე მეთოდის მიმდევრები (ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი...) მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანის შინაგანი სტრუქტურის გახსნით ცდილობდნენ წარწერებში დადასტურებულ გრაფიკათა იდენტიფიკაციას და მათ ამოკითხვას.

ჩვენი აზრით, სომხურ ხელნაწერებში შემონახული ალბანური ანბანი, მიუხედავად შეცდომებისა, რომლებიც იქნა დაშვებული მისი არაეთვლის გადაწერისას, მაინც გამოსადეგია კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების ამოკითხვისათვის.

აღსანიშნავია, რომ ალბანური ანბანის პარადიგმატიკისა და გრაფიკის ანალიზის საფუძველზე, მკვლევართა მიერ (ა. შანიძე, ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი) გაკეთებული ფონემური მნიშვნელობების რამდენიმე შესწორება გამყარებული იქნა ფაქტებით, თუმცა უნდა აღინიშნოს დაშვებული შეცდომებიც: ს. მურავიოვი ზედმეტად ენდობა მატენადარანის ხელნაწერის ანბანს და მასში მხოლოდ ხუთი შესწორება შეაქვს. ამასთან ერთად, მკვლევარი კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის ისეთ არადაამახასიათებელ ბგერებს აღადგენს, როგორიცაა: ინტენსიური **ღ**...; გაუგებარია ზოგიერთი გრაფემის ფონემური კვალიფიკაცია, მაგ.: №2 **ნ** – ა ბგერის მსგავსი **ო** და სხვა.

ა. აბრამიანი კი, პირიქით, ზედმეტად კრიტიკულად უდგება წყაროს (მატენადარანის №7117 ხელნაწერის ალბანურ ანბანის ნუსხას). გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული 52 ნიშნიან ანბანში 33 ფონემური მნიშვნელობის შესწორება მკვლევარის მიერ. ამასთან ერთად, როგორც წესი, არ არის მოცემული ზუსტი ფონემური კვალიფიკაციები.

ვ. გუკასიანი რეკონსტრუქციის საკმაოდ ორიგინალურ მეთოდს მიმართავს. მისი აზრით, ალბანური ანბანის ასო-ბგერათა უღერადობის აღდგენა შესაძლებელია მატენადარანის ხელნაწერში მოცემული მათი სახელწოდებების ანალიზის გზით. აქედან გამომდინარე, ვ. გუკასიანის

მიერ გაკეთებული ანბანის შესწორებებიც მეტწილად მცდარია.

ჩვენ მიერ განხორციელებული რეკონსტრუქციის ცდა ემყარება ალბანური ანბანის ორივე ნუსხის ისეთ მონაცემთა ანალიზს, როგორცაა: ასო-ბგერათა პოზიცია, ზოგიერთი ფონემის აღნიშვნა ორი ან სამი გრაფემით და მათი შესაძლო ინტერპრეტაცია უდიურისა და სხვა თვისტომი ენების მონაცემთა საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი გამოყენებულია მხოლოდ იმ გრაფემათა მიმართ, რომელთა ფონემური ღირებულების განსაზღვრა ამოკითხული მასალის საფუძველზე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

§ 2. კავკასიის ალბანური ენის ვოკალიზმი

კავკასიის ალბანურ ანბანში, სავარაუდოდ, ხმოვნების აღმნიშვნელი რვა ნიშანი გვექნება, ორი ხმოვანი კი (უ და უ) დიგრაფით აღინიშნებოდა. ამათგან ექვსი ხმოვნის ფონემური მნიშვნელობა უკუკვლად დადგენილია, ესენია: №1 ა (ა), №5 ა (ე), №13 ყ (ი), №35 ო. (ო), ო-ი (№35+№50 – უ) და №7 ც (ეე). უდიურისა და თვისტომი ენების ფონოლოგიური სისტემებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურს, მარტივი ხმოვნების გარდა, ფარინგალიზებული ხმოვნებიც უნდა ჰქონოდა და ასეთი მოსაზრება გამოითქვა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. კლიმოვი, გ. გუკასიანი, ს. მურავიოვი...).

ამრიგად, ხმოვანთა სისტემა მწკობრი სახით წარმოგვიდგება: 5 მარტივი ხმოვანი – ა, ე, ი, ო, უ და მათი ფარინგალიზებული ვარიანტები.

გასარკვევია თვით ფარინგალიზაციის რაობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფარინგალიზაცია არის ხმოვნის თვისება (ეგვ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჭვიძე, გ. გუკასიანი, ბ. თალიბოვი, ე. ბოკარევი, შ. გაფრინდაშვილი, ბ. გიგინეიშვილი...), ხოლო სხვები მას თანხმობანთა თვისებად განიხილავენ (ნ. ტრუბეცკოი, ჟ. დიუმეზილი, ა. მაჰომეტოვი, დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე...). უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურება ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ სპეციალისტებსაც, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზაციის მიზეზს თანხმობენ მიაწერს.

გასაზიარებელი ჩანს გ. დვეტერსის მოსაზრება, რომლის თანახმად, ფარინგალიზაცია არის თვისება, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას, არამედ მარცვალს, ანდა მთელ სიტყვას.

ჩვენი აზრით, ფარინგალიზაციას ალბანურში დისტინქციური ფუნქცია არ ჰქონდა. ამის შესახებ მეტყველებს პალიმფსესტში დამოწმებული პარალელური ფორმები, მაგ.: **ო-ი** (ბუ)/**ო-ი** (ბუ) “ყოლა”, “ქონა”... მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების აღმნიშვნელ გრაფემათა მონაცველობა ხშირია აფიქსებშიც, მაგ.: **ო-ი** (-უხ)/**ო-ი** (-უხ) – მრავლობითის სუფიქსი; **ო-ი** (-უხ)/**ო-ი** (-უხ) – ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი. **ა-ი** (-ეა)/**ა-ი** (-ეა) – პერფექტის მაწარმოებელია. ფარინგალიზებული ხმოვნები (ქ, ო, უ, *ა და *ი) ძირითადად გვხვდება უკანა

წარმოების (უკანაენისმიერი, ფარინგალური და ლარინგალური) თანხმობების გვერდით.

§ 3. კავკასიის ალბანური ენის კონსონანტიზმი

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის ხელნაწერის ნუსხაში სიბილანტების აღმნიშვნელი 19 ნიშანი გვაქვს. თუ ანბანის №19 გრაფემის (**ჟ**) ფონემურ მნიშვნელობას შევასწორებთ – **ჟ > წ** (ეს შესწორება, სავარაუდოდ, ამოკითხული მასალითაც დგინდება, მაგ.: **ჟ-ი** [წი] “სახელი”, შდრ. უდ.: წი “id”), მაშინ ყველა სიბილანტი ორ-ორი ასო-ბგერით იქნება წარმოდგენილი, გარდა **ძ** (d) ასო-ბგერისა. ეს არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ უდიური ენის მონაცემებს. ეგვ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყვაში იმეორებს და აღნიშნავს, რომ ოთხივე მაგალითში მას ფაკულტატურად **ხ** სპირანტი ენაცვლება. საფიქრებელია, რომ **ძ** აფრიკატი კავკასიის ალბანურში უკვე მოშლის პირას იყო მისული.

სამეცნიერო ლიტერატურაში სიბილანტების მეორე რიგს სხვადასხვა ფონოლოგიური კვალიფიკაცია მიეცა. ასე, გ. გუკასიანის აზრით, კავკასიის ალბანურისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შიშინა და სისინა აფრიკატების [და ხშულთა] ოთხეულგობრივი სისტემა (მუღერი-ფშენიეფერი-პრერუპტივი-აბრუპტივი), დენტოლბიალიზებული შიშინა აფრიკატებისა და ინტენსიური (მაგარი) სისინა და შიშინა სპირანტების ლოკალური რიგები. ს. მურავიოვი კი გამოყოფს ინტენსიურ შიშინა აფრიკატთა და სისინა და შიშინა სპირანტების რიგებს. ჰიპოთეტურად ინტენსიურ თანხმობებად მიიჩნევენ სიბილანტების მეორე რიგს აკ. შანიძე და გ. კლიმოვი. ყველა ეს მკვლევარი ეყრდნობოდა ეგვ. ჯეირანიშვილის, ვლ. ფანჭვიძისა და გ. გუკასიანის მიერ აღწერილ უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემას და ამის საფუძველზე აღადგენდა ალბანურისათვის ინტენსიურ სიბილანტებს.

ეგვ. ჯეირანიშვილის, ვლ. ფანჭვიძის, გ. გუკასიანისა და ზოგიერთი სხვა მკვლევარის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატებისა და სპირანტების ინტენსიური (მყოვარი) კორელატები: **ჯა, ჩა, ჭა, ჟა, შა**. გ. გუკასიანი მათ რიგს უმატებს სისინა **წა**.

ბ. გიგინეიშვილმა შენიშვნა გამოთქვა ინტენსიურების არსებობის შესახებ უდიურში. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მუღერი ინტენსიურების (**ჟა, ჯა**) პოსტულირება (ასეთი ფონემები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გვხვდება) და კორელაცია ინტენსიუობის მიხედვით მხოლოდ ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ექვეყნებოდა აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას.

სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან, მით უფრო, ერთი მკვლევარის მასალებში, შეინიშნება ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებული ჩაწერის ფაქტები – ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით. მაგ.: ეგვ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში “უდიური ენა” (1971 წ.) წარმოდგენილია: **იჟ** (გვ. 22) – **იჟ** (გვ. 208, 249) “თოვლი”; **ჟოლ** (გვ. 214) – **ჟოლ** (გვ. 33, 78) “საცობი”; **უჭ** (გვ. 22) – **უჭა** (გვ. 217, 254) “თავ-

ლი”; **კაჭი** (გვ. 28, 219) – **კაჭი** (გვ. 255) “ბრმა”; **ჭოჭა** (გვ. 220, 258) – **ჭოჭა** (გვ. 32) “წითელი”...

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა, რომ უდიურში დამტკიცებულიყო ინტენსიურების ფონემურობა. ევგ. ჯეირანიშვილს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მინიმალური წყვილები: **შუ** “ღამე” – **შუ** “ვინ?”; **ბაჩ** “ასი” – **ბაჩ** “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”; **აჩი** “დაკარგული” – **ღამალული** – **აჩი** “თამაში”; **ყაჭ** “ტკივილი” – **ყაჭ** “ვიწრო”; **ჭაპ** “გამქრალი” – **ჭაპ** “ვახი”...

სამეცნიერო მივლინებით რამდენჯერმე ვიმყოფებოდი ყვარლის რაიონში უდიებით დასახლებულ სოფ. ოქტომბერში (ზინობიანი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც, მკვლევართა აზრით, ინტენსიური თანხმონები უნდა გვქონოდა. ჩვენი დაკვირვებით, შიშინა თანხმონები გამოითქმის ერთნაირად და არანაირი კორელაცია მათ შორის ვერ შევნიშნეთ. შევამოწმეთ აგრეთვე ევგ. ჯეირანიშვილის მიერ ინტენსიურების დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები და ინფორმატორებისაგან შემდეგი განმარტება მივიღეთ: ეს ერთი და იმავე ქუეყანობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო.¹

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ალბანური ენისათვის ინტენსიური თანხმონების პოსტულირება უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის საფუძველზე, ჩვენი აზრით, არამართებულია. მით უფრო, თუ დავეშვებით ინტენსიურების არსებობას კავკასიის ალბანურში, მაშინ ოთხი მქდური ინტენსიური (**ჟ, ზ, ჯ, ძ**) გვექნება და კორელაცია აქაც სიბილანტთა რიგს ვერ გაცდება.

ჩვენი დაკვირვებით, ფარინგალიზაციასა და უდიურ ენაში მკვლევართა მიერ დამოწმებულ ინტენსიურებს (ზოგიერთი თანამედროვე მკვლევრის კვალიფიკაციით – “ველარიზებული”) შორის კავშირი არსებობს. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ ინტენსიურები, უმეტეს შემთხვევაში, დამოწმებულია ერთ სიტყვაში ფარინგალიზებულ ხმოვნებთან. ამასვე მკვლევართა მასალების შედარებისას ფარინგალიზებული ხმოვნებისა და ინტენსიური თანხმონების მონაცვლეობის შემთხვევები ადასტურებს, მაგ.: **იჟ/იჟ** (ევგ. ჯეირანიშვილი) – **იჟ** (ვლ. ფანჩვიძე) – **იჟ** (ვ. გუკასიანი) “თოვლი”; **ჟე** (ევგ. ჯეირანიშვილი; ვლ. ფანჩვიძე) – **ჟე** (ვ. გუკასიანი) “ქვა”; **ოჯილ** (ვლ. ფანჩვიძე) – **ოჟილ** (ვ. გუკასიანი) – **ოჯილ** (ევგ. ჯეირანიშვილი) “კუდი”; **იშა/იშა** (ვლ. ფანჩვიძე) – **იშა** (ევგ. ჯეირანიშვილი) – **იშა** (ვ. გუკასიანი) “ახლოს”; **ჩო** (ვლ. ფანჩვიძე; ვ. გუკასიანი) – **ჩო** (ევგ. ჯეირანიშვილი) “სახე”... გამოთქმულ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ინტენსიური თანხმონებისა და ფარინგალიზებული ხმოვნებისათვის დამახასიათებელი სპეციალური

არტიკულაციის თავისებურებები სპეციალისტებს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენიათ.

საყურადღებოა ს. კოძასოვის მოსაზრება. მკვლევარი ფარინგალიზაციას პროსოდის თვისებად განიხილავს, რომელიც მთელ სიტყვაზე ვრცელდება. მისი აზრით, თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან ფარინგალიური თანხმონი, მაშინ ფარინგალიზაციის პიკი მას მოუდის. შიშინათა ველარიზაციას, რომელიც აძლევს მათ განსხვავებულ ტემბრს (ჩვენი აზრით, ამან შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, ვინც ინტენსიურ თანხმონებს გამოყოფდა უდიურში), ს. კოძასოვი ფარინგალიზაციის თანამდევი ნიშნად მიიჩნევს, რასაც სავსებით ვეთანხმებით.

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემიდან გამომდინარე და სხვა მიზეზთა გათვალისწინებით (ამის შესახებ იხ. § 4), ვვარაუდობთ, რომ სიბილანტების მეორე რიგი კავკასიის ალბანურში ფარინგალიზებულთა რიგს წარმოადგენდა და არა ინტენსიურთა რიგს. ამასვე გარკვეულწილად ადასტურებს კავკასიის ალბანურის სიბილანტთა მეორე რიგის შესატყვისობები თვისტომ ენებში: ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთო ლეზიურისა და საერთო დაღესტურის ფარინგალურს ანდა უგულარულს კავკასიის ალბანურში შეესატყვისება სიბილანტი, მაგ.: კავკ. ალბ. **ძე-მე** < ***ჯე** Vნ, უდ. **ჟე-მე** – ლეზგ. **ჭეან**, თაბ./ად. **ღეან** “ქვა”; შდრ. ასევე: ხუნდ. **ყონო**, არჩ. **ჭეან** “ქვის ფილა”...

სირთულეს აწყდება სისინა თანხმონების კვალიფიკაცია როგორც ფარინგალიზებულთა. გ. დეეტერსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სისინა თანხმონების ფარინგალიზაცია შეუძლებელია, მაგრამ უდიურ ენაში სისინაც განიცდის ფარინგალიზაციას და ანლაუტში მის მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის პიკიც მოდიოდეს, მაგ.: **ცაჟ** “ელვა”; **ცაჟნაბედალა**[ჟ] “მაჟურა”; **წიჟ/წიხ/ციჟ** “ციფი”; **წოდ** [ადალა] “თავსხმა წიმა”; **საჟი** “ტაბიკი”; **სახტიკ** “კოჭლი”; **ცამდესუნ** “დასუსხვა”; “დაშუშხვა”; **წაჟდალბულ** “წაბლი”; **წაჟდეუხ** “წურბელები”; **წაჟდელსუნ** “ტაშის ცემა”; **წილაძურ** “მხალი”...

მატენადარანის ხელნაწერში რჩება რამდენიმე ბგერა, რომელიც ორ-ორი გრაფემითაა აღნიშნული, ესენია: **ხ, ჰ, დ, ტ, ლ**. საფიქრებელია, რომ **ხ** ბგერით გადმოცემული მეორე გრაფემა – **ქ** (№37 “ხამ”), **ჰ** ფონემას აღნიშნავდა, რომელიც დადასტურებულია თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაში. შედარებით ძნელია **ლ** (№24 “ჰაე”) გრაფემის ფონემური ღირებულების განსაზღვრა, თუმცა სარწმუნოდ ჩანს, რომ ის ლარინგალურ **ლ**-ს აღნიშნავდა.

კავკასიის ალბანურში, სავარაუდოდ, ლატერალები უნდა ყოფილიყო – **ღ** (№18 **ღ** სავარაუდოდ, ან №4 ***ღან**); **ღ** (№22 “ლიტ”); **ტ** (№36 **ღ** “ტაე”), თუმცა მასალის სიმცირის გამო მათი ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია ვერ ხერხდება.

უკანა წარმოების თანხმონათა სისტემა ღარიბია სხვა ლეზიურ ენებთან შედარებით, რაც აახლოვებს კავკასიის ალბანურის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან.

ნაკლებად სარწმუნოა პალატალიზებული (ს. მურავიოვი) და ლაბია-

¹ შდრ.: “Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (<ачъи> «потерянный», «утеренный» - ачи «игра», шу (<шъу> «ночь» - шу «кто», члани (<чълани> «угасший» - члани «лоза») (ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967, 686), შდრ.: ევგ. ჯეირანიშვილის მიერ მოყვანილ მინიმალურ წყვილებს.

ლიზებული (ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი) ფონემების არსებობა კავკასიის ალბანურში. პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია თუ გვქონდა ალბანურში, იგი უნდა ყოფილიყო პოზიციურად შეპირობებული.

§ 4. ფარინგალიზაციის აღნიშვნის გრაფიკული წესი და ფარინგალიზებული მარცვლის სემანტიკური სტრუქტურა

ხმოვნებისა და სიბილანტების აღნიშვნა ორ-ორი გრაფემით განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელი ფარინგალიზაციის პროცესი ალბანური ანბანის შემქმნელის ან შემქმნელთა მიერ აღქმულ იქნა, ერთ შემთხვევაში, როგორც ხმოვნის თვისება, მეორეში კი, როგორც თანხმოვნისა (სიბილანტისა). ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ ალბანურ ხელნაწერებსა თუ ეპიგრაფიკულ მასალაში მეორე რიგის ხმოვნები სიბილანტების გვერდით (ერთ მარცვალში) არ შეინიშნება (იშვიათად, მეორე რიგის ხმოვანი გეხვდება სიბილანტის პრეპოზიციასში).

მეორე რიგის ხმოვნის აღნიშვნელი გრაფემები [ღ (*ე), უ (ო), უ- (უ)] კავკასიის ალბანურში გეხვდება ისეთი სტრუქტურის მარცვლებში, როგორცა: CV², V²C, V², CV²C, V²S... (V – ხმოვანი, V² – ფარინგალიზებული ხმოვანი, S – სიბილანტი; S² – ფარინგალიზებული სიბილანტი).

ხმოვანთა სისტემა

მარტივი	ღ (№1)	ა	ქ (№5)	ე	ყ (№13)	ი	ო (№35)	ო- უ (№35+50)
ფარინგ.	ღჟ ? (№25)	*ა ^ფ	ქ *ე ^ფ [ეი]	? (№16)	*ი ^ფ	უ (№47)	ო ^ფ	უ- უ ^ფ (№47+50)

მეორე რიგის სიბილანტების აღნიშვნელი გრაფემები [პ (*ც), უ (*ჭ), ხ (*ზ), ჯ (*ს), ლ (*ჭ), ტ (*ჭ), ს (*შ)] გეხვდება S²V, S²VC... სტრუქტურის მარცვლებში.

სიბილანტთა სისტემა

		აფრიკატი			სპირანტი		
სისინა	მარტივი	№38 ჯ *ძ	№49 ტ *ც	№19 ჯ *ჭ	№6 ჯ ხ	№43 ჯ ს	
	ფარინგ.		№26 უ *ც ^ფ	№48 უ *ჭ ^ფ	№20 ხ *ჯ ^ფ	№46 ჯ *ს ^ფ	
შიშინა	მარტივი	№32 ? ჯ?	№39 ჯ ჩ	№27 ჯ ჭ	№12 ჯ ქ	№33 ჯ შ	
	ფარინგ.	№34 ჯ? ჯ ^ფ ?	№28 ? ჩ ^ფ	№10 ჯ ჭ ^ფ	№8 ჯ ქ ^ფ	№14 ჯ შ ^ფ	

თავი VI. კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლები

§ 1. კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკა

დღეს კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსი ერთი ლაპიდარული წარწერითა (ე.წ. ჯვრის პოსტამენტის წარწერა) და ექვსი გრაფიტით უნდა განისაზღვროს; ყველა მათგანი დეფექტურია:

ჯვრის პოსტამენტის წარწერა სამშენებლო ხასიათისაა.

გრაფიტი №2 შანდალზე და №2 კრამიტის ნატეხზე ანბანის ნაწილებს შეიცავს (გრაფიტი №2 შანდალზე, ამასთან ერთად, ავტორის ფაქსიმილესაც).

გრაფიტი №1 შანდალზე, №3 შანდალზე, №4 შანდალზე და №1 კრამიტის ნატეხზე, როგორც ჩანს, “ნომინალური” შინაარსისა.

ამოკითხული მასალიდან წარმოდგენილია ჯვრის პოსტამენტის წარწერის, გრაფიტის №2 შანდალზე და გრაფიტის №2 კრამიტის ნატეხზე ლინგვისტური და პალეოგრაფიული ანალიზი.

§ 2. კავკასიის ალბანური “ლექციონარი”

ალბანურ-ქართული პალიმფსესტის ქვედა ფენის ტექსტი ნამდვილად იოანეს სახარებასა და ე.წ. ლექციონარს შეიცავს.

უნდა აღინიშნოს ალბანური ლექციონარის საკითხავთა იდენტიფიცირებისა და ამოკითხვის სირთულე. საფიქრებელია, რომ იგი არ არის ნათარგმნი უშუალოდ სხვა რომელიმე ენაზე არსებული ლექციონარიდან, არამედ შედგენილია ალბანურ ენაზე უკვე ნათარგმნი ბიბლიის წიგნების საფუძველზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სინური პალიმფსესტის თითქმის ყველა ფურცელი დეფექტურია.

ჩვენ მიერ მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური ლექციონარის საკითხავთა შემდეგი მუხლები: მათე 17, 1-5 (N/Sin 13, 13v-10r); საქმე მოციქულთა 12, 1-2 (N/Sin 13, 56v-57r); ეფესელთა 5, 25-28 (N/Sin 13, 28v-27r); 1 კორინთელთა 12, 28-29 (N/Sin 13, 26r-31v); 2 კორინთელთა 11, 23-27 (N/Sin 13, 76r-77v); ებრაელთა 3, 1-5 (N/Sin 55, 23r-16v); ებრაელთა 11, 17-18 (N/Sin 13, 5r-2v); ჰრომაელთა 8, 17-19 (N/Sin 55, 25v).

ამოკითხული მასალიდან წარმოდგენილია ალბანური ლექციონარის სათაურთა ნიმუშებისა და ერთი საკითხავის – ებრაელთა 3, 1-5 თარგმანი და მორფოლოგიური ანალიზი კომენტარებითურთ.

თავი VII. შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის შესახებ

§ 1. ფონეტიკა

კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა რეკონსტრუქციის შედეგად ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ვოკალიზმი:

	წინა რიგის	შუა რიგის	უკანა რიგის
ღია		ა	
საშუალო	ე		ო
ვიწრო	ი		უ

შენიშვნა. თითოეულს ფარინგალიზებული სახესხვაობა აქვს: *ა, *ე, *ი, *ო, *უ.

კონსონანტიზმი:

	სშუელი			აფრიკატი			სპირანტი		სონორი
	მჟღერი	ფშვინგე	აბრუპტ.	მჟღერი	ფშვინგე	აბრუპტ.	მჟღერი	ქრუ	
ლაბიალური	ბ	ფ	პ				ვ		ტ, მ
დენტალური	ღ	თ	ტ	*ქ	*ც	*წ	ზ	ს	ნ, ლ
ალვეოლარული				*ჯ	ჩ	*ჭ	*შ	შ	რ
შუაენისმიერი									დ
უკანაენისმიერი	ბ	ქ	კ				ღ	ხ	
ფარინგალური		*ჭ	ყ						
ლარინგალური			*ც					ჰ	
ლატერალური				*ღ	*ლ	*ტ			

შენიშვნა. ვარსკვლავი [*] სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას აღნიშნავს; უკანა წარმოების (უკანაენისმერ, ფარინგალურ, ლარინგალურ) თანხმოვნებს, სიბილანტებს და, სავარაუდოდ, ლაბიალურ და დენტალურ თანხმოვნებს აქვთ ფარინგალიზებული ვარიანტები.

ვოკალიზმის სისტემა უდიურში, კავკასიის ალბანურთან შედარებით, გართულდა (წარმოიქმნა პალატალიზებული ხმოვნები, ე.წ. ირაციონალურმა ხმოვანმა შეიძინა დისტინქციური ფუნქცია ნიჯის დიალექტში), ხოლო კონსონანტიზმის სისტემა გამარტივდა (ჩვენი აზრით, მოიშალა ლატერალები, დაიკარგა ლარინგალური *ჭ, ბილაბიალური ჟ; საფიქრებელია, რომ ერთადერთი თანხმოვანი, რომელიც უდიურს დაემატა, არის დენტოლაბიალური ტ). ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, პოზიციური იყო, უდიურში კი ფარინგალიზაციას დისტინქციური ფუნქცია მოეპოვება.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ 15 საუკუნოვან შუალედს უდიურსა და კავკასიის ალბანურ

წერილობით ძეგლებს შორის, დამწერლობის ტრადიციის დაკარგვასა და უდიურის ძლიერ ასიმილაციას, შეიძლება დავასენათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფონეტიკური ცვლილებები უმნიშვნელოა.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკური პროცესებიდან კავკასიის ალბანურში დასტურდება: ხმოვანთა შემართვა ანა-კე “რომელიც” > ჰანა-კე (როგორც ჩანს, გავრცელებული მოვლენაა); დიფთონგიზაცია: ვინი-ეხ “ქმას” (მიც.) > ვინი-ე-ეხ; *ფ-ე-ი “თქვა” (პერფ.) > ფ-ე-ი; ასიმილაცია: ინ-აჲ “თავისი” > ინ-ეჲ (ნაწილობრივი) > ინ-ი (სრული); ბ[იხაჯუ]ლ-ოჲ “ღმერთი” (ნათ.) > ბ[იხაჯუ]ლ-ეჲ; ს-ომ “ერთხელ” < *სა-ომ; რედუქცია: ტურ-ლ-ოხო(ც) “მდინარეთაგან” < *ტურ-ულ-ოხო(ც); სპირანტიზაცია: ბუ-ყესუნ “სურვილი”, “სიყვარული” > ხი-ბუ “მოყვარე”; უხ “ექვსი” < *უფ; ბოხ-ეს “შენება” < *ბოყ-ეს; -ხა (*oxybis*) ფორმანტია < *ჟ; თანხმოვანთა მონაცვლეობა: ანე/ჰანე “ეგ” - ჰამა-ტუნ-კე “ეგიც”; ელიზია-კონტამინაცია: ანახ “მაგათ” < *ანე-უხ-ა.

§ 2. მორფოლოგია

კავკასიის ალბანურში უეჭველად დგინდება ხუთი ბრუნვა (სავარაუდოა, რომ ეს არ არის მათი საბოლოო რიცხვი).

სახელობითი ბრუნვა არამარტივებულია. იგი აღნიშნავს სუბიექტს გარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირ ობიექტს. გაუფორმებელი ფუძე ითავსებს ვოკატივის ფუნქციას [მაგ.: უსბონ ბუყანაბიდა ანე ჩიბუხ ქმარო, შეიყვარე ეგ ცოლი” – ეფეს. 5, 25] და ზოგჯერ გენტივის ფუნქციითაც გვხვდება [პურინუნ აკობახ ვინიხ *ოხანან* “მოუკვდა რა (აბს.) იაკობი (მიც.), მამა (მიც.) იოანესი (ებრ.-სირ. ფორმა)” – სქმ. 12, 2].

ერვატივი ძირითადი ფორმანტია -ენ. ასრულებს რეალური სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნასთან, მაგ.: ქრისტოს-ენ ბუყანაბიდა მატინე კელესიას “როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია (მიც.)” (ეფეს. 5, 25)... უდიურისა და ზოგიერთი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენის მსგავსად, ალბანური ერვატივი ინსტრუმენტალისის ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ.: ბიხაჯულ-ენ ავა “ღმერთით მყოფი (არსებული)” – ებრ. 3, 5...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია -აჲ, -ოჲ, -ეჲ, -ან, -უნ... და უდიური გენტივის მსგავსი ფუნქციები აქვს, მაგ.: *ონე ღარ ბეზ-ი ბუყანაო* “ეს შეიღია ჩემი საყვარელი” (მთ. 17, 4).

უდიურის მსგავსად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი -უნ კავკასიის ალბანურშიც დერივაციულ აფიქსადაა გამოყენებული, მაგ.: *გოჩ-უნ* “დიდი”, *ჰუჩ-უნ* “სარწმუნო”¹.

¹ ფარინგალიზაციას აღნიშნის კავკასიის ალბანურ ანბანში მიღებული გრაფიკული პრინციპით ვხედავდვარვართ, თუმცა, ეჭვი გვუპარება, რომ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ყოველთვის ადეკვატურად იყო აღნიშნული, მაგ.: *სარწმუნო* – *სარწმუნო* (პუჩუნენ) “სარწმუნოება”. “ფარინგალიზაციის აღნიშვნელი” გრაფიკა *სრ* პირველ მაგალითში გამოყენებულია სიტყვის ანლატში, ხოლო მეორე მაგალითში – მესამე მარცვალში. ფარინგალიზაციის გავრცელების ზოგადი წესებიდან (ს. კოძისოვი) გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის ორივე ფორმაში ფარინგალიზაციის პიკი *რ* (ბ) ასობურაზე მოდიოდა.

ფარინგალიზაციის აღნიშვნა კავკასიის ალბანურში მახვილზეც დამოკიდებული ჩანს.

მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია -ა, -ო, -ე; -ახ, -ოხ, -ეხ. დატივი *verba sentiendi* ზმნებთან აღნიშნავს სუბიექტს, მაგ.: *კე ბუყა(ღ?)ე ვა* “თუ გნებავს შენ (მიც.)” (მთ. 17, 3), პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს, მაგ.: *ბიად ლ?ქა უან ხიბ ტალავარ. სა ვა, სა მუსენის, სა ელიდა* (< *ელიდა-ა; აა=ა: რედუქცია) “გავაკეთებ ჩვენ (ერგ.) სამ კარავს. ერთი შენ (მიც.), ერთი მოსეს, ერთი ელიას” (მთ. 17, 4). მიცემითი ხშირად გამოყენებულია ლოკატივის მნიშვნელობით, თანდებულის დაურთველად, მაგ.: *მარაკესუნუხ ქლაქა* “ხიფათის (ჭირის, შდრ. უდ: მარ “ჩირ-ქი”) ნახვა (მრ.) ქლაქში”, *მარაკესუნუხ კ(?)აბან-ა* “ხიფათის (ჭირის) ნახვა (მრ.) ულაბნოში” (2 კორ. 11, 26).

უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანურ ენაშიც პირდაპირი ობიექტი ნომინატივით ან დატივით გამოიხატება. პირდაპირი ობიექტისათვის ამ ბრუნვითა ფაკულტატურად გამოყენების შემთხვევები არ დასტურდება; ჩვენ მიერ ამოკითხულ მასალაში პირდაპირი ობიექტის ფუნქციით ყველა მიცემითში დასმული სახელი პიროვნებაა (აღამიანი), მაგ.: *ე(ტ)აჰეიან ძესუსენ პეტროს-ახ უნ მაკობ-ახ უნ დოპანან-ახ ვინი-ეხ* ოა “წაიყვანა (ან “გადაიყვანა”) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობი (მიც.) და იოანე (მიც.) ძმა (მიც.) მისი” (მთ. 17, 1), ხოლო სახელობითში დასმული – ნივთი, მაგ.: *ბიად ლ?ქა უან ხიბ ტალავარ* “გავაკეთებ აქ? ჩვენ (ერგ.) სამ კარავს (სახ.)” (მთ. 17, 4).

კავკასიის ალბანურში მიცემითი II-ს არსებობის შესახებ ვარაუდი (ზ. ალექსიძე, ვ. შულცე) შემოწმებას საჭიროებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებულ მასალაში -ახ//ეხ//ოხ ფორმანტიანი მიცემითი ყოველთვის პირდაპირ ობიექტად გვევლინება, ხოლო -ა//ე//ო ფორმანტიანი მიცემითი ირიბ ობიექტს, სუბიექტს “*verba sentiendi*” ზმნებთან აღნიშნავს და აგრეთვე გარემოების ფუნქციითაც იხმარება.

თანდებულის ბრუნვებიდან უეჭველად დადგენილია აბლატივი. აბლატივის ფორმანტებია -ახ-ო(ც)//-ოხ-ო(ც)//-უხ-ო(ც); -ო(ც)//-ა(ც). აბლატივს დაშორებითი ფუნქცია აქვს და იგი ქართულ -გან თანდებულს უდრის, მაგ.: *მარაკესუნუხ აბაზაკუდ-ოხო(ც)* “ხიფათის (ჭირის) ნახვა (მრ.) ავაზაკთაგან”; *მარაკესუნუხ მეთანოსუდ-ოხო(ც)* “ხიფათის (ჭირის) ნახვა (მრ.) წარმართთაგან” (2 კორ. 11, 26). ამის გარდა, აბლატივი შედარებით ხარისხსაც აწარმოებს, მაგ.: *ეკოს-ახო(ც)* იხოლო კუ ბააღ ნენ “სახლზე (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტი] პატივი ექნება” (ებრ. 3, 4).

მრავლობითი რიცხვის ძირითადი ფორმანტებია – -უხ//უდ. ბრუნვის ნიშნები ხშირად გართულებულია სხვადასხვა პრეპოზიციური (ჩანართოვანი) ელემენტებით: ტ-, რ-, მ-, ნ-... მაგ.: *ჰამა-ტ-უენ* “ეგ”–ნათ., *მუზ-რ-ო* “ენა”–ნათ., *ძე-მ-ო* “ქვა”–მიც.

მასუბსტანტივებელი სუფიქსია -ო, მაგ.: იხო-ო “მშენებელი”, ბუყანა-ო “საყვარელი”...

კავკასიის ალბანური ენის სახელთა ბრუნება დიდ მსგავსებას ამჟღავნებს უდიური ენის ბრუნებასთან, როგორც ფორმანტთა მხრივ, ასევე ბრუნვითა ფუნქციების მხრივაც.

რიცხვითი სახელი. რაოდენობითი რიცხვითი სახელები სინურ პალიმფსესტში იშვიათად გვხვდება. ეს განპირობებულია იმით, რომ, როგორც წესი, რიცხვი ასო-ბგერათა საშუალებით აღინიშნება.

რიცხვითი რიცხვითი სახელი იწარმოება -არ სუფიქსით გართულებულ ან მისსავე სუბლექტურ ფუძეზე -უნ//ინ სუფიქსის დართვით, მაგ.: *სერბა-უნ* “პირველი”, *პურან-ინ* “მეორე”, *ხიბ-არ-უნ* “მესამე”, შდრ. პალიმფსესტში დაფიქსირებულს: *სა* “ერთი” (ს.-კავკ.), *პქა* “ორი” (ს.-კავკ.), *ხიბ* “სამი”.

ჯერობის რიცხვითი სახელი იწარმოება -ომ სუფიქსის დართვით, მაგ. *ს-ომ* < **სა-ომ* “ერთხელ”, “ერთგზის”; *ხიბ-ომ* “სამჯერ”, “სამგზის”; *ხუ-ომ* “ხუთჯერ”, “ხუთგზის”.

თვლის სისტემა ალბანურში ოცობითი იყო. ამას ადასტურებს ფორმა *რ(ლ)ჟქ-ქქა* [ქქა-ქქა] “ორმოცი”, შდრ. უდიურს: *პა-ყო* (ვართ.)//*პა-ყა* (ნიჯ.) “ორმოცი” (ხედმიწ. “ორი” + “ოცი”).

ნაცვალსახელი. I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმები და მათი ბრუნება, მცირე ფონეტიკურ განსხვავებებს თუ არ ჩავთვლით, ისეთივეა, როგორც უდიურში.

მხ.

I

სახ.-ერგ. ზუ

ნათ. ბეზი

მიც. ზა//ზახ

II

სახ.-ერგ. ნუნ?

ნათ. ვი

*მიც. ვა//*ვახ*

მრ.

I

სახ.-ერგ. უან

ნათ. ბეში

მიც. უა//უახ

II

სახ.-ერგ. ნან?

ნათ. ?

მიც. ?

შესაძლებელია, რომ კავკასიის ალბანურში III პირის ნაცვალსახელები გექნდა: *ოენ* “ის” და *ოენ-უხ* “ისინი”, მაგ.: *ოენ ილუკაპა მატუნ კეპე* “ვიდრე ის იმას იტყოდა” (მთ. 17, 2);

ჰაბოკეე ოენ-უხ “აიყვანა ისინი” (მთ. 17, 4).

ჩვენებითი ნაცვალსახელებია: *ო-ნე* (I პირთან ახლოს მყოფი), მაგ.: *ონე ღარ ბეზი ბუყანაო* “ეს შვილია ჩემი საყვარელი” (მთ. 17, 5); *ა-ნე* (II პირთან), მაგ.: *უხბონ ბუყანაბიდან ანე ხიბუხ* “ქმარო, შეიყვარე ებ ცოლი” (ეფეს. 5, 25) და *ნე* (III პირთან). ეს უკანასკნელი ნაწევრის ფუნქციასაც ასრულებს და, ზოგჯერ, როგორც ჩანს, მეშველი ზმნის ფუნქციითაც გამოიყენება, მაგ.: *მუსედს ჰუაზუნ ნე* “მოსე სარწმუნოა” [ხედმიწ. “სარწმუნო იგი”] (ებრ. 3, 4).

I და II პირის *კუთვნილებითი ნაცვალსახელების* ფორმა ნათესაობითში დასმულ პირის ნაცვალსახელთა ფორმას ემთხვევა. მაგ.: *ონე ღარ ბეზი ბუყანაო* “ეს შვილია ჩემი საყვარელი” (მთ. 17, 5);

ჰეფესუნ[ო] ბეში “აღსარებისა ჩვენისა” (ებრ. 3, 1).

III პირის *კუთვნილებით* ნაცვალსახელად დასტურდება ფორმა *ოა* “მისი”, მაგ.: *დოპანანახ ვინიუხ ოა* “იოანე (მიც.) ძმა (მიც.) მისი” (მთ. 17, 2);

მუსეფს პაჭინკე ლუ(ს)უ კოსა **ოა** “როგორც (ვითარც) მოსე, ყველა **მის** სახლში (მიც.)” (ებრ. 3, 2).

კუთვნილებითი ნაცვალსახელია აგრეთვე **იჩა** “თავისი”. აქ სამი ფონეტიკური ვარიანტი გვაქვს: **იჩა** > **იჩე** (ნაწილობრივი ასიმილაცია) > **იჩი** (სრული ასიმილაცია), მაგ.: *უსბონ ბუყანაბიძესა იჩა ჩიბუხ იჩა მარმინ პაჭინკე* “ქმარო, შეყვარებას **თავისი** ცოლისა, როგორც (ვითარც) **თავისი** ხორცისა” (ეფეს. 5, 28);

იჩე ბულ *თაქვადე* “**თავისი** თავი მისცა” (ეფეს. 5, 25).

განსახლებებითი ნაცვალსახელებად გვესახება **ლუ(ს)უ** “ყველა” და **(ც)ეს** “ყოველი”, მაგ.: *მუსეს ჰუჩხუნ ნე ლუ(ს)უ კოსა* **ოა** “მოსე სარწმუნოა (ზედმიწ. “სარწმუნო იგი”) **ყველა** მის სახლში (მიც.)” (ებრ. 3, 5).

(ც)ეს კოს *ბოხოსა* “ყოველი სახლი უეჭველად შენდება (იუს.)” (ებრ. 3, 3).

მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით დავიმოწმეთ **ანა/ჰანა** “რომელი”, მაგ.: *პოლქე ე(ც)ეს ბიდა* **ჰანა(ც)** “ხოლო **რომლისგან** (აბლ.) ყოველივე გაკეთდა” (ებრ. 3, 4).

ბუყანაბა **ჰანა-ი** *ოენ* “**რომელს** (ნათ.) უყვარს ის...” (ეფეს. 5, 28).

ზმნა. ზმნის დრო-კილოებიდან დადგენილია: *აწყო*, მისი მაწარმოებელია **-ა**, მაგ.: *ჰუჩხუნ ჰანაოქე* **ბა-ა** “რომელიც სარწმუნო **არის**” (ებრ. 3, 1).

აწმყოს მაწარმოებელი ხშირად იკვეცება, როდესაც ზმნის ფუძე ა ხმოვანზე არის დაბოლოებული, მაგ.: *იხო ვოჩხუნ აბუ აქე ანაკე ვა მუხეისახლ(ც)* “რამეთუ მეტი დიდების მქონე **არის** მოსეზე (აბლ.)” (ებრ. 3, 4). აქ საფიქრებელია ***ვა-ა > ვა**.

აღბანურ ლექციონარში დასტურდება ფორმა, რომელიც სავარაუდოდ, *აწყო-კონკრეტულად* უნდა მივიჩნიოთ, მაგ.: *კე ბუყაქე ვა* “თუ **გსურს (გნებაეს)** შენ (მიც.)” – მთ. 17, 3 (ზმნა ბუყ-ესუნ მოითხოვს სუბიექტს მიცემით ბრუნვაში. ეს ზმნა კავკასიის აღბანურში კომპოზიტშიც გვხვდება, შდრ.: *ბუყანა-ბიძეს* “სურვილის კეთება” > “შეყვარება” [სუბიექტი ერგატივში]; *ბუყანა-ბა* “სურვილის ქონა” > “ყვარება” [სუბიექტი ნომინატივში]; შდრ. აგრეთვე, უდ: *ბუყ-ეს* “ყვარება”, “ნდომა”, “წადილი”, “სურვილი”, “მოსურვება”).

აწყო-კონკრეტულის იწარმოება ანალიტიკურად **-(ც)ე/-ჰე** მეშველი ზმნის მეშვეობით.

აღბანურ პალიმფსესტში შეინიშნება ნამყო დროის სამი ფორმა. პირობითად მათ ვუწოდებთ **ნამყო I**-ს, **ნამყო II**-სა და **ნამყო III**-ს.

ნამყო I იწარმოება აწყო ფორმაზე **-მ/-ი** ფორმანტის დართვით, მაგ.: *ქრისტოქსენ ბუყანაბიძე-ა-ი* **პაჭინკე ეკლესიას** “როგორც ქრისტეს **შეუყვარდა** ეკლესია (მიც.)” (ეფეს. 5, 25);

პოლქე ე(ც)ეს ბიდა-ი **ჰანა(ც)** “ხოლო რომლისგან ყოველივე **გაკეთდა**” (ებრ. 3, 4).

ნამყო II იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ე/-ე** ფორმანტის დართვით, მაგ.: *იჩე ბულ თაქვადე-ე* “თავისი თავი **მისცა**” (ეფეს. 5, 25);

ჰაბოკე-ე *ოენუხ* “**აიყვანა** ისინი” (მთ. 17, 1).

ვფიქრობთ, რომ ნამყო I *იმპერფექტი* უნდა იყოს, ხოლო ნამყო II –

პერფექტი. ნამყო I-ის მაგალითები თითქოსდა სრული ასპექტის გაგებას გვაძლევს, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ მაინც უწყვეტი მოქმედება უნდა გვეტონდეს (ქრისტეს შეუყვარდა და უყვარს დღესაც...).

ნამყო III იწარმოება იმპერფექტის (ნამყო I) ფორმაზე **-ნ** ფორმანტის დართვით. როგორც წესი, ეს ფორმა ნამყო დროის გამომხატველია და პერფექტის (ნამყო II) მსგავსი მნიშვნელობით იხმარება, მაგ.: *ე(ც)აბუყა-ი-ნ* *ექსუსენ პეტროსახ უნ აკობახ უნ დოჰანანახ ვიხიხ* **ოა. ჰაბოკე-ე** *ოენუხ* “**წაიყვანა** (ან “**გადაიყვანა**”; ნამყო III) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობ (მიც.) და იოანე (მიც.) ძმა (მიც.) მისი. **აიყვანა** (ნამყო II) ისინი” (მთ. 17, 1).

სავარაუდოდ, აქ *აორისტი* უნდა გვეტონდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ამ ფორმით ზოგჯერ დროში გაურკვეველი მოქმედება აღინიშნება, მაგ.: *ქულ ბიდა-ი-ნ* “ხელი **მიჰყო** (ზედმიწ. “ხელი **აკეთა**)” (სქმ. 12, 1), ანდა შესაძლებელია, სულაც მყოფად აღნიშნავდეს, მაგ.: *ბიდა-ი-ნ* *ცა* *უან ხიბ ტალავარ* “**გაგაკეთებთ** აქ? ჩვენ (ერგ.) სამ კარავს (მთ. 17, 4)...

მყოფადი იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ალ** ფორმანტის დართვით, მაგ.: *ეფუხ მუ(წ)ურ ბა-ალ* *ანკე* *ოენ* “რათა წმინდა **ჰყოს** (ზედმიწ. “**იყოს** რომელიც”) ის” (ეფეს. 5, 26);

კოსახლ(ც) იხოლო კუ ბა-ალ *ნენ* “სახლზე (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტე] პატივი **ექნება** (ზედმიწ. “**იყოს** მით”)” (ებრ. 3, 4).

საფიქრებელია, რომ ხშირ შემთხვევაში მყოფადი სუპლეტური ფორმებითაც იწარმოება, მაგ.: *ხუ ვა ბალა* “**მე** (ერგ.) შენ (მიც.) **გაგიკეთებ**?” (წარწერა №4 შანდალზე), *ო(ვ)რ* “**იქნება**”.

იუსივი იწარმოება **-ხა** ფორმანტის დართვით, მაგ.: *(ც)ეს კოს ბოხო-ხა* *ანაკე ბოხო-ხა* *ჰამოსტანკე* “ყველა სახლი **უეჭველად შენდება**, რომელიც **უეჭველად შენდება** ვისგანმე” (ებრ. 3, 4).

იმპერატივი იწარმოება აწყო ფორმაზე **-ნ** ფორმანტის დართვით, მაგ.: *უსბონ ბუყანაბიძე-ან* *ანე ჩიბუხ* “ქმარო, **შეიყვარე** ვე ცოლი” (ეფეს. 5, 25).

ნაზმნარი სახელები. *მასდარი*. უდიურის მსგავსად, კავკასიის აღბანურსაც მასდარის ორი ფორმა ჰქონდა. აღსანიშნავის, რომ ორივე ენის მასდარის ფორმები იდენტურად იწარმოება. *მასდარი I* მიიღება ზმნის ფუძეზე **-ეს** სუფიქსის დართვით, მაგ.: *ბუყანაბიძე-ეს* “შეყვარება”...

მასდარი II იწარმოება **-ეს** ფორმანტიან მასდარზე (მასდარი I) **-უნ** სუფიქსის დართვით, მაგ.: *მარაკ-ეს-უნ* “**ხიფათის** [ზედმიწ. **ჭირის]** **ნახვა**, **უფ-ეს-უნ** “**თქმა**”...

დადგენილია ორი ტიპის *მიმღებობა*: პირველი – სრული სახისაა და დამოწმებულია მხოლოდ სუბსტანტივის ფუნქციით (მასუბსტანტივებელი **-ო** სუფიქსის დაურთველად). ეს მიმღებობა იწარმოება ზმნის ფუძეზე გრამატიკული კლასის ექსპონენტის სუფიქსად დართვით, ხოლო მისი საკუთარი მაწარმოებელი **-ი** სუფიქსი უნდა იყოს. როდესაც ზმნა მარტურებულია კლასოვანი პრეფიქსით, ამ მიმღებობის წარმოებისას ის იკარგება, მაგ.: **ბი-ი-ეს** “კეთება” > ***ი-ბი** > **ი-ბი** “მკეთებელი”; **ბუ-ყ-ეს** “სურვილი”, “ყვარება” > ***ყ-ი-ბუ** > **ხ-ი-ბუ** “მოყვარე” (სპირანტიზაცია).

მიმღებობის მეორე ტიპისათვის (უსრული სახისაა) დამახასიათებელია ის, რომ მას სუფიქსი **-ი** აწარმოებს და კლასიფიკატორი მასში

პრეფიქსის სახით გვხვდება, მაგ.: *ონე ღარ ბეზი ბუჟანა-იო* “ეს შვილია ჩემი **საყვარელი**” (მთ. 17, 5).

კავკასიის ალბანურში დასტურდება *აბსოლუტივის* ორი ფორმა. პირველი უდიური *აბსოლუტივი I*-ს მსგავსი მნიშვნელობით იხმარება და მას აწარმოებს **-ნ-უნ** როული სუფიქსი (**-უნ**, საფიქრებელია, რომ წარმოშობით გენიტივის ფორმანტი იყოს), მაგ.: *პური-ნ-უნ აკობას ვიჩიხ მობანან* “**მოკლა რა (მოსაკლავად)** იაკობი (მიც.), ძმა (მიც.) იოანესი (აბს.)” (სქმ. 12, 2).

მეორე აბსოლუტივი უდიური *აბსოლუტივი IV*-ს მსგავსი მნიშვნელობისაა და მისი მაწარმოებელია **-ნ-ი-უნ**, მაგ.: *უჩ არე-ნიუნ ე(კ)აჟეჟან ძესუსენ პეტროსახ...* “ექვსი [დღის] **გასვლისას** წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.)... (მთ. 17, 1).

კავკასიის ალბანურში *ფორმაუცველ მეტყველების ნაწილთა* საკითხი ნაკლებადაა გარკვეული. აღსანიშნავია მაქვემდებარებელი კავშირების ხშირი გამოყენება და სიმრავლე.

მაქვემდებარებელ კავშირთა უმეტესობა ნაცვალსახელური ან ზმინსართუი წარმოშობისაა. მაწარმოებლად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ასევე მაქვემდებარებელი კავშირი **კე** “რომ”, “თუ”. ეს კავშირი კომპოზიტში ქართული ნაწილაკების **-ც, კი, თუ** მსგავს მნიშვნელობას იძენს, მაგ.: *მუსეხს პა(ჭ)ინ-კე ლუ(ს)უ კოსა ოა* “**როგორც (ვითარც)** მოსე, ყველა მის სახლში (მიც.)” (ებრ. 3, 2);

ქრისტოსენ ბუჟანაბიდა პა(ჭ)ინ-კე ეკლესიას “**როგორც (ვითარც)** ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)” (ეფეს. 5, 25);

(ც)ეს კოს ბოხონა ანა-კე ბოხონა პამოსტანკე “ყველა სახლი უეჭველად შენდება, **რომელიც** უეჭველად შენდება ვისგანმე” (ებრ. 3, 4);

იხო გოზუნ აბუ იჰე ანა-კე ვა მუსეხსახ[ო(ც)] “**რამეთუ** მეტი დიდების მქონე არის მოსეზე (აბლ.)” (ებრ. 3, 4).

მაერთებელი კავშირის ფუნქციით გვხვდება **უნ** “და”, მაგ.: *ე(კ)აჟეჟან ძესუსენ პეტროსახ უნ აკობას უნ მობანანახ* “წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობ (მიც.) და იოანე (მიც.)” (მთ. 17, 1).

§ 3. ზმნის უღვლილება და გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი

პიროვანი უღვლილების არსებობის საკითხი. ვ. შულცემ წამოაყენა დებულება კავკასიის ალბანურ ენაში ზმნის პიროვანი უღვლილების შესახებ და წარმოგვიდგინა პირის ნიშანთა სისტემა: მხოლოდობითში – I პ. **-ზუ**; II პ. **-ნუნ**; III პ. **-ნ(ე)**; მრავლობითში – I პ. **-ჟან**; II პ. **-ნან**; III პ. (გარდაუვალ ზმნებთან) **-ნაღურ**; (გარდამავალ ზმნებთან) **-ნაღრონ**. ვ. შულცეს აზრით, ზმნა კავკასიის ალბანურში, უდიურის მსგავსად, მონოპერსონალურია (მხოლოდ სუბიექტის პირს გამოხატავს), ხოლო ფორმანტი ყოველთვის ენკლიტიკად გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია დავეთანხმეთ აღნიშნულ მონაზრებას. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში პირში შეთანხმების ერთი ფაქტორ ვერ შევნიშნეთ და, შესაბამისად, ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი “პირის ნიშნებიც” ვერ დავიმოწმეთ (I და II “პირის ნიშნები”

ჩვეულებრივ პირის ნაცვალსახელებია, ფორმა **ნე** ჩვენებითი ნაცვალსახელია, ხოლო ფორმები **ნაღურ/ნაღრონ** საერთოდ ვერ დავადასტურეთ). აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ კავკასიის ალბანური ზმნა პირის კატეგორიას არ განარჩევს.

საყურადღებოა, რომ ვ. შულცე მის მიერ წარმოდგენილ ალბანურ მასალაში (“მინგეჩაურის” წარწერები და ალბანური ლექციონარის 2 კორინთელთა 11, 24-27; დაახლ. 100 სიტყვის შემცველი, მათ შორის 15 დრო-კილოიანი ფორმა) “პირის ფორმანტს” ზმნაში მხოლოდ ორჯერ იმოწმებს. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ეს არამართებულად გვეჩვენება.

“პირში შეთანხმების” პირველი მაგალითის: – *იკაპოსენ ბიდა-ნ* “ეპისკოპოსმა **გააკეთა**” (*ბიდა-ნ* ვ. შულცეს მიხედვით – “*კეთება*”-PERF-III SG – ჯვრის პოსტამენტის წარწერა) შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ **-ნ** სუფიქსი აორისტის მაწარმოებლად გვესახება. უეჭველია, რომ ეს ფორმანტი არ წარმოადგენს პირის ნიშანს. ამას ადასტურებს ის, რომ ზოგჯერ ამ სუფიქსით მარკირებულ ფორმას სუბიექტი I ან II პირში აქვს, მდრ.: *ბიდა-ნ ლეს ჯან ხიბ ტალავარ* “**გააკეთებთ** აქ? ჩვენ სამ კარავს” (მთ. 17, 4).

ასევე არ არის დამაჯერებელი ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი მეორე მაგალითიც: *ზუ ღი უნ შუ ბღალიღოს მარღი-ზუ-ჰე* “მე დღე და დამე სიკვდილს **ვითმენდი**” (*მარღი-ზუ-ჰე* ვ. შულცეს მიხედვით – “*მითმენა*”-I SG-PERF II – 2 კორ. 11, 25). ჩვენი აზრით, წინადადების პირველი წევრი **ზუ** “მე”, წინამავალ წინადადებას *ხიბომ ნაჟიყაეცე ჰე* უნდა მივაკუთვნოთ (წინამავალი წინადადება, ვ. შულცეს ვარაუდით, ჯერობის რიცხვითი სახელისაგან [*ხიბომ*], ზმნისა [*ნაჟიყაეცე*] და მეშველი ზმინსაგან [*ჰე*] შედგება, ანუ წინადადებაში არც სუბიექტი, არც ობიექტი და არც ზმნის “პიროვანი” ფორმა არ გვაქვს), ხოლო მეორე ფორმა **ზუ**, ასეთ შემთხვევაში, “ჩვეულებრივ” I პირის ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ მომდევნო ფორმა **ჰე** (ჩვენი ტრანსკრიპცია – *ჰე*) დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს.

გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი. მიუხედავად მასალის სიმცირისა და სხვა შემაფერხებელი ფაქტორებისა¹, მაინც შეინიშნება ზოგიერთი ზმნის კლასების მიხედვით ცვლა, მაგ.: *ჰუჩუნ ჰანადალჰე ბა-ა [ბიხაჯულ]ოი იხე* “რომელიც [იესო] სარწმუნო არის თავისი ღმერთისა” (ებრ. 3, 2);

ეფუს მუ(წ)ურ ბა-აღ ანკე ოენ “რათა წმინდა **ჰყოს** (ზედმიწ. “იყოს რომელიც”) **ის სკელესია**” (ეფეს. 5, 26);

მაგრამ: *იხო გოზუნ აბუ იჰე ანა-კე ვა მუსეხსახ[ო(ც)]* “რამეთუ მე-

¹ ალბანური პალიფსესტის ამოკითხულ ტექსტში პირდაპირი ობიექტი ძირითადად ნივთია ან მოვლენა, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი – ადამიანი [მაშაკცი], რაც კლასებისა და მათ ფორმანტთა განსაზღვრას ართულებს. ასევე, საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური გამოირჩეოდა კლასის ფორმანტთა სიმრავლით, რაც საერთოდ ლეზგიური ჯგუფის ენბისათვის არის დამახასიათებელი

ტი დიდების მქონე არის [იესო] მოსეზე (აბლ.)” (ებრ. 3, 4);

შდრ. აგრეთვე: *ბიხაჯუქლენ ა-ვა* “**დმერთით მყოფი (არსებული)**” (ებრ. 3, 4).

ამასვე გვაფიქრებინებს **ფ-ეს** “თქმა” ზმნის ჩვენებაც: *ო-ფეე ანაო [-?] ისაკახო(ც)* “**გეწოდოს [ნათესავი]** ისაკისაგან (აბლ.)” (ებრ. 11, 18). აქ საფიქრებელია I კლასის ექსპონენტის ფონეტიკური ცვლილება: *ვა > ო.

მაგრამ: *ფეი [-?] პიმი ზუ* “**ვიტყვი [?] მე**” (2 კორ. 11, 23).

როგორც ჩანს, კლასის მიხედვით იცვლება ამ ზმნის სუპლეტური ფუძისაგან ნაწარმოები ფორმებიც, მაგ.: *ოენ ილუკაპა მატუნ კეპე* “ვიდრე ის მაგას **იტყვდა**” (მთ. 17, 4);

აქქეგახო(ც) უ-კაპე “[?] დრუბლიდან (აბლ.) **თქვა**” (მთ. 17, 4).

[-?] ანაო და-კეპე “[?] რომელზე (ნათ.) **ითქვა**” (ებრ. 11, 18).

კავკასიის ალბანური წერილობითი ძეგლების ენაში კლასოვანი უღვლილება რომ უნდა გექონოდა, ამას ადასტურებს მიმდევობის ზოგიერთ ფორმათა წარმოებაც, მაგ.: **ბო-ხო-ხა** “შენება”-RUSS. > **ი-ხო-ფო** “მშენებელი”; **ბუ-ყა-ნა** “სურვილი”, “ყვარება” > *ყი-ბუ > **ხი-ბუ** “მოყვარე”; **ბი-ფეს** “კეთება” > *ფი-ბი > **ი-ბი** “მკეთებელი”... წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ ზმნების თავკიდური ელემენტები არ არის გაქვავებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა **ბო-ხო-ფო**, **ბუ-ხი-ბუ** და ა.შ.

კავკასიის ალბანური ენის ადგილი თვისებრივ ენათა შორის.

VII თავის დასასრულს განხილულია კავკასიის ალბანური ენის წარმოშობის საკითხი. უეჭველია, რომ კავკასიის ალბანური განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დადგენილი ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს და ყველაზე მეტი პარალელი მას უდიურ ენასთან მოეძებნება. ჯერ კიდევ კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება უდიურისა და კავკასიის ალბანურის უახლოესი გენეტიკური ნათესაობის შესახებ. მაშინ, ის მკვლევრები (მაგ.: ივ. ჯავახიშვილი), რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ თვალსაზრისს, ძირითადად ისტორიულ წყაროებსა და ეთნოლოგიურ მასალას იშველიებდნენ.

დღეს უკვე ლინგვისტური მონაცემების გამოყენებითაც შეგვიძლია ვამტკიცოთ იგივე: კავკასიის ალბანურისა და უდიურის საერთო წარმოშობის შესახებ მეტყველებს ორივე ენის ფონოლოგიურ სისტემათა მსგავსება. უმთავრესი რელევანტური ნიშანი, რომლის საშუალებით კავკასიის ალბანურისა და უდიურის ფონოლოგიური სისტემები სხვა ლეზგიური და დადგენილი ენებისას უპირისპირდება, არის ხშულთა და აფრიკატთა სამეულბერივი და სპირანტთა წყვილუფლებრივი სისტემები. საყურადღებოა, აგრეთვე, უკანა წარმოების თანხმობანთა შედარებითი სიღარიბეც;

უდიურის მორფოლოგიური სტრუქტურა ძალიან ახლოსაა კავკასიის ალბანურთან და გამოიყვანება ამ უკანასკნელისაგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კავკასიის ალბანურსა და უდიურში პირდაპირი ობიექტი, სახელობითის გარდა, მიცემითი ბრუნვითაც გამოიხატება,

რაც არც ერთ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენას არ ახასიათებს, შდრ. კავკასიის ალბანურისა და უდიურის ძირითადი მორფოლოგიური ინვენტარი:

კავკასიის ალბანური	უდიური
ერგატივი-ინსტრ. -ენ	-ენ... (ძირითადი ფორმანტი)
გენიტივი -აფ, -ეფ, -ოფ, -უნ	-აფ, -ეფ, -ოფ, -უნ...
დატივი -ა, -ო, -ახ, -ოხ, -ეხ	-ა, -ო, -ახ, -ოხ, -ეხ...
აბლატივი -ახ-ო(ც), -ოხ-ო(ც)	-ახ-ო, -ოხ-ო
მრ. რიცხვი -უხ, -უღ	-უხ, -უღ...
“მასუბსტანტ.” სუფიქსი -ო	-ო
რაოდ. რიცხ. სახელთა მწარმოებელი -უნ	-უნ-ჯი/უმ-ჯი, -უნ
მასდარი I -ეს	-ეს
მასდარი II -ეს-უნ	-ეს-უნ
აწმყო -ა	-ა
იმპერფექტი -ა-ფ, -ა-ი	-ა=ფ, -ა=ი
პერფექტი -ე, -ეფ, -ეფი	-ე; პლუსკვამპერფექტი -ე=ფ
მყოფალი (I) -აღ	-აღ

გარდა ამისა, უდიური ენისა და კავკასიის ალბანურის უახლოეს გენეტიკურ ნათესაობას ადასტურებს ალბანურ ხელნაწერსა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი ტიპური “უდიური” სიტყვაფორმები (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანურის ბევრ ლექსიკურ ერთეულს უდიურში პარალელი არ მოეძებნება), შდრ.:

კავკასიის ალბანური	უდიური
ბიხაჯუქლ “დმერთი”	ბიხაჯუქ “დმერთი”
აღამარ “აღამიანი”	აღამარ “აღამიანი” (ნასესხ.)
ჩიბუხ “ცოლი”	ჩუბუხ “ცოლი” (ვართ.)
ვინი “ძმა”	ვინი “ძმა” (საერთო ლეზგ.)
ხუნჩი “და”	ხუნჩი “და”
ლარ “ძე”, “ბიჭი”	ლარ “ძე”, “ბიჭი”
ქულ “ხელი”	ქულ “ხელი”
ბულ “თავი”	ბულ “თავი”
მუხ “ენა”	მუხ “ენა”
შუ “ღამე”	შუ “ღამე”
ლი “დღე”	ლი “დღე”
ხაშ “ნათელი”	ხაშ “მოვარე”, “ნათელი”
ბ[V](შ)ელ “შუე”	ბელ “შუე”
კოს “სახლი”	კოჟ (ნიჯ.)/კოჯ (ვართ.) “სახლი”
ზუ “მე”, ბეზი (ნათ.) ზა//ზახ (მიც.)	ზუ “მე”, ბეზი (ნათ.) ზა//ზახ (მიც.)
ნუნ “შენ”, ვი (ნათ.), ვა//ვახ (მიც.)	უნ “შენ”, ვი (ნათ.), ვა//ვახ (მიც.)
ჟან “ჩვენ”, ბეში (ნათ.), ჟა//ჟახ (მიც.)	დან “ჩვენ”, ბეში (ნათ.), და//დახ (მიც.)

ჩვ. ნაცვალსახელები ნე, ო-ნე, ა-ნე	III მს. პირის ფორმანტი -ნე/-ნე/-ე
ინი “თავისი”...	ინი “თავისი”...
სა “ერთი”	სა “ერთი”
პ(ც)ა “ორი”	პა “ორი”
ხიბ “სამი”...	ხიბ “სამი”
აკეს “ხედვა”	აკეს “ხედვა”...
(უ)-ფეს “თქმა”	[უ]-ფეს “თქმა”
ბუყეს “სურვილი”	ბუყეს “სურვილი”, “ყვარება”
ბუ “ყოლა”, “ქონა”...	ბუ “ყოლა”, “ქონა”, “ყოფნა”...

მიუხედავად წარმოდგენილი მასალისა, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ უდიური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანურის იმ დიალექტისაგან, რომელზედაც ითარგმნა წმინდა წერილი (resp. ალბანურის ლიტერატურული დიალექტი). ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: კავკასიის ალბანურში ანლაუტსა და აუსლაუტში განვითარდა ფარინგალურ თანხმოვანთა სპირანტიზაცია (*ჴ/*ყ > ხ; სინურ პალიმფსესტში ფარინგალური თანხმოვნები (ჴ, ყ) არ შეგვხვდრია სიტყვის ანლაუტსა და აუსლაუტში), ხოლო უდიურში ეს პროცესი არ განხორციელდა, შდრ.: ალბ. უხ^წ – უდ. უჴ^წ “ექვსი”; ალბ. ხა – უდ. ყა (იუსივის ფორმანტია); ალბ. ხო – უდ. ბი-ყ (“შენების” აღმნიშვნელი ზმნის ფუძეა, შდრ.: ალბ. ბო-ხო-ხა [იუსივი] და ი-ხო-ოო [მიმღეობა])... ძნელი წარმოსადგენია, რომ ფარინგალური თანხმოვნების სპირანტიზაციის შემდეგ უდიურში ადგილი ჰქონდა უკუპროცესს – *ხ > ჴ/*ყ > ყ.

გამოთქმული ვარაუდი მყარდება კავკასიის ალბანურისა და უდიურის ზოგიერთი ლექსემის შეპირისპირებით. საყურადღებოა “ყოფის” აღმნიშვნელი ზმნის ჩვენება: კავკასიის ალბანურში მას დაკარგული აქვს ძირისეული თანხმოვანი (და საერთოდ ძირიც) *ყ > ჴ > ღ და იგი მხოლოდ გრამატიკული კლასის ფორმანტისაგან შედგება: ბა [III კლ.] და ვა [I კლ.] “ყოფა”. უდიურის შესატყვის ზმნას კი ძირისეული თანხმოვანი შენარჩუნებული აქვს, შდრ.: ბა-ჴეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომბა”. თუ დავუშვებთ, რომ უდიური ენა პირდაპირი შთამომავალია კავკასიის ალბანურის ლიტერატურული დიალექტისა, მაშინ უდიური ფორმა ბა-ჴეს მხოლოდ მისი თვისტომი ენებიდან (რუთულური, წახური, არჩიბული) შემდგომი სესხებით აიხსნება, რაც დაუჯერებლად გვეჩვენება.

ნაშრომის დასკვნით დებულებებში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები

1. ალბანური ანბანი: ენმიაძინის აღმოჩენიდან სინას მთის აღმოჩენამდე, „არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII“, თბილისი, 2007, გვ. 51-54.
2. კავკასიის ალბანურის ანბანის რიგის დადგენისათვის, კავკასიოლოგია პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2007, გვ. 98-100.
3. რამდენიმე შენიშვნა ახლად აღმოჩენილი ალბანური პალიმფსესტის ფონეტიკურ სისტემასთან დაკავშირებით, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2007, გვ. 24-25.
4. კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსის დაზუსტებისათვის, „არნ. ჩიქობავას საკითხავები, XIX“, თბილისი, 2008, გვ. 50-51.
5. კავკასიის ანბანური სამყაროს ისტორიიდან. I. ერკათავირის გენეზისისათვის, ლინგვისტო II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2008, გვ. 235-239.
6. К вопросу кавказско-албанских эпиграфических памятников на территории Дагестана, «Кавказские языки: генетические, типологические и ареальные связи», Махачкала, 2008, с. 250-252.
7. Проблемы современной албанологии. I. Кавказско-албанский алфавит (критический обзор источников). II. Внутренняя форма кавказско-албанского алфавита, «Удинский сборник: грамматика, лексика, история языка», Москва, 2008, с. 380-431.
8. ინტენსიური თანხმოვნებისა და აბრუპტივების შესახებ უდიურ ენაში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2008, გვ. 125-127.
9. ალბანური ლექციონარის ამოკითხვისათვის, „არნ. ჩიქობავას საკითხავები, XX“, თბილისი, 2009, გვ. 41-49.
10. К вопросу взаимоотношений удийского и кавказско-албанского языков, «Теоретические и методические проблемы национально-русского двуязычия», Махачкала, 2009, с. 257-261.
11. წინადადების ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის კავკასიის ალბანურში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში”, თბილისი, 2009, გვ. 94-96.
12. შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული სტრუქტურის შესახებ, “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVII”, თბილისი, 2009, გვ. 112-131.
13. პირის ფორმანტთა ანალიზისათვის უდიურ ენაში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 68-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2009, გვ. 61-64.
14. კავკასიის ალბანურის ანბანთრიგის დადგენისათვის (ალბანური ეპიგრაფიის ორი ძეგლის განხილვა), “კავკასიოლოგიური ძიებანი, I”, თბილისი, 2009, გვ. 117-138.
15. ინტენსიური თანხმოვნების შესახებ უდიურ ენაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბილისი, 2009, 10-12, გვ. 45-53.
16. ნამყოს ფორმების წარმოებისათვის უდიურ ენაში, “არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXI”, თბილისი, 2010, გვ. 38-40.
17. К вопросу исторического развития системы личного согласования в удийском языке, «Актуальные вопросы общего и кавказского языкознания», Махачкала, 2010, с. 152-161.

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили
Факультет гуманитарных наук

на правах рукописи

Роман Лолуа

**Вопросы структуры кавказско-албанского
языка**

Автореферат

диссертации на соискание академической степени доктора филологии
(Ph.D.)

Тбилиси
2010

Диссертационная работа выполнена в отделе горских иберийско-кавказских языков Института языкознания им. Арн. Чикобава и в Институте кавказоведения Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили.

Научный руководитель: **Цира Барамидзе**,
Доктор филологических наук, профессор

Официальные рецензенты: **1. Ростом Пареулидзе**
Доктор филологических наук, профессор

2. Нодар Ардотели
Доктор филологических наук

Защита диссертации состоится 25 октября 2010 года, в 16 часов на заседании диссертационной комиссии факультета гуманитарных наук Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили.

Адрес: г. Тбилиси, просп. И.Чавчавадзе №13, VIII корпус Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили (IV этаж, актовый зал).

Ознакомиться с диссертацией можно в научной библиотеке Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили.

Ученый секретарь
диссертационного совета:
Доктор философских наук, профессор

А. Кулиджанишвили

Общая характеристика работы

Актуальность темы. Кавказско-албанская письменность и язык не раз оказывались объектом исследования различных ученых. Несмотря на это, остается обширный спектр проблем: не дешифрованы албанские рукописные и эпиграфические памятники, не предпринято попыток грамматического описания кавказско-албанского языка¹, и большая часть фактического материала до сих пор не опубликована.²

Если учесть то, что кавказско-албанский, единственный из горских иберийско-кавказских языков, обладающий древним оригинальным алфавитом и пятнадцативековой письменной историей, то прочтение албанских рукописных и эпиграфических памятников для кавказоведения будет иметь большое значение. Это обстоятельство может пролить свет на многие вопросы диахронического изучения иберийско-кавказских языков.

Цель и объект исследования. Целью исследования является дешифровка памятников албанской письменности, анализ их языковой структуры и определение места кавказско-албанского среди родственных языков. Исходя из специфики изучаемого вопроса, рассмотрены сведения древнейших исторических источников о кавказско-албанской письменности, проблема генезиса албанского алфавита, представлен анализ его парадигматики и графики, обозначен кавказско-албанский фактический материал и рассматриваются другие проблемы.

В работе дешифрован и проанализирован албанский фактический материал, это – опубликованные в монографии З.Н.Алексидзе «Язык, письменность и литература Кавказской Албании» (на груз. яз.) отрывки Священного Писания на кавказско-албанском языке [Алексидзе 2003: 132-150]. Кроме этого, использованы фотографии «синайского» палимпсеста³ и кавказско-албанская эпиграфика (т.н. мингечаурские надписи).

Для сравнения привлечены данные родственных языков (в основном, удийского языка). Критически проанализирована научная литература по данному вопросу. Использован собранный в с. Октомбери (Зинобиани) Кварельского района Грузии полевой материал по удийскому языку.

¹ Если не брать в учет небольшое описание грамматических явлений кавказско-албанского языка, представленное в монографии З.Н.Алексидзе «Язык, письменность и литература Кавказской Албании» [Алексидзе 2003: 151-158]. Из этого исследования большая часть отведена обзору лексики (с. 153-158), а описание фонетики и морфологии занимает всего три страницы (с. 151-153).

² Диссертационная работа была завершена (март 2009 г.), когда вышла в свет монография Й.Гипперта, З.Н.Алексидзе, Ж.-П.Маэ и В.Шульце «Албанские палимпсесты». Это издание, помимо текста и фотографий синайского палимпсеста, содержит также исследование кавказско-албанских рукописей. К сожалению, нам не представилась возможность использовать обширный албанский материал и результаты этого исследования в своей работе.

³ Фотографии размещены на интернет-страницах titus.fkidg1.uni-frankfurt.de/armazi/sinai/albanica/m13.htm#start и titus.fkidg1.uni-frankfurt.de/armazi/sinai/albanica/m55.htm#start.

Методы исследования. Исследование проводилось описательным и историко-сравнительным методами. Применялся метод внутренней реконструкции (по отношению к фонологической системе кавказско-албанского языка). В целях прочтения кавказско-албанских рукописных и эпиграфических памятников использован дистрибутивный метод и другая методология дешифровки.

Основные итоги исследования и научная новизна. До обнаружения синайского албано-грузинского палимпсеста кавказско-албанский материал (мингечаурские надписи) содержал всего около 50 слов (до 200 знаков), и, по нашему мнению, сам по себе не давал возможности достижения значительного результата в его дешифровке. После обнаружения палимпсеста, в 2003 году, была опубликована монография З.Н.Алексидзе «Язык, письменность и литература Кавказской Албании» (на груз. яз.), которая содержит предварительные замечания и сведения об албанском «лекционарии». После опубликования этой монографии к дешифровке кавказско-албанских рукописей подключились Й.Гипперт, Ж.-П.Маэ и В.Шульце, хотя нужно отметить, что по сей день существенные результаты их исследования не опубликованы. На данный момент албанология обладает несколькими прочитанными заголовками «лекционария» (З.Н.Алексидзе) и одним дешифрованным связным текстом (2 Коринф. 11, 24-27 – В.Шульце).

